თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

გიორგი შენგელია

მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში

წარმოდგენილია მაგისტრანტის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0156, საქართველო

ივლისი 2019 წელი

რეზიუმე

შესავალ ნაწილში გადმოცემულია თემის აქტუალობა, გამოკვეთილია მიზანი და ამოცანები. მცირე ბიზნესი ეკონომიკაში მთელ რიგ მნიშვნელოვან სოციალურ ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა ცხადყოფს ეროვნული ეკონომიკების განვითარებაში რაოდენ დიდი ადგილი უკავია მცირე ბიზნესს. ისინი დიდ როლს ასრულებენ უმუშევრობის შემცირების, ინოვაციური ეკონომიკის განვითარების , სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, საზოგადოებაში საშუალო ფენის ფორმირების საქმეში. ბუნებრივია ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, სადაც უმუშევრობა მაღალია,ეკონომიკის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს, მცირე და საშუალო ბიზნესი და მისი განვითარება აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ამდენად საკვლევი თემა ,,მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში“ მეტად აქტუალურ პრობლემას ეხება.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება მცირე ბიზნესის არს მნიშვნელობას, საუბარია მის განსაკუთრებულ თავისებურებებე და ის უპირატესობებზე ბიზნესის სხვა ფორმებთან მიმართებაში. მოცელულია განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის კრიტერიუმები ნაჩვენებია, რომ დღეს ჯერჯერობით არ არის შეთანხმება მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებს შორის მცირე ბინესის ერთნაირი კრიტერიუმებით შეფასების თაობაზე.ნაშრომის ამ ნაწილში გაკეთებულია დასკვნა, რომ სამწუხაროდ, ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი მცირე ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელი საერთო (საყოველთაო) მახასიათებლის (კრიტერიუმის) შემოტანის შესახებ, მათი სტატისტიკური სიდიდის საყოველთაობის მოთხოვნის გარეშე, როგორც ჩანს ჯერ არ არის სახელმწიფოები შეჯერებული იმაზე, რომ ყველა ქვეყნისთვის მცირე ბინესის სტატუსის განმსაზღვრელი მახასიათებლები იყოს ერთი და იგივე. სავალდებულო არ არის მათი სტატისტიკური სიდიდის ტოლობა რადგან ის დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე ,მის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კულტურაზე. თუმცა მსოფლიო მაშტაბით გამოკვეთილია ის რომ ყველა ქვეყანაში მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრებისას ყველგან ფიგურირებს ,,დასაქმებულთა რაოდენობა ’’ამდენად იგი შეიძლება ვაღიაროთ ,როგორც მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრის საერთაშორისო კრიტერიუმი. მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეების გადამოწმება უნდა ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების,

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ–ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად. იგი შეიძლება მოიცავდეს 5–10 წლიან ინტერვალს . ეკონომიკაში მცირე ბიზნესის განვითარების რეალური სურათის დანახვა აუცილებლად მოითხოვს ქვეყანაში შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არსებობას და ამ მიმართულებით ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით პრობლემების მოგვარებას. სასურველია ცალკე გამოსცემდეს სტატისტიკის დეპარტამენტი ბიზნეს სექტორზე სტატისტიკურ კრებულს.

ნაშრომის მეორე ნაწილი ხება მცირე ბიზნესის განვითარების და სახელმწიფო მხარდაჭერის არსებული მდგომარეობის ანალიზს საქართველოში. განხილულია განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის საკითხები. შედარების მიზნით მოკლედ არის აღწერილი მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ზოგიერთი ქმედებები განვითარებულ ქვეყნებში და საქართველოში. მართალია ევროპასთან ასოცირების შეთანხმებიდან და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებიდან გამომდინარე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიზნით 2014 წლიდან ქვეყანაში არის განხორციელებული რიგი ქმედებებისა მცირე ბიზნესის მხარდაჭერისათვის. მაგრამ საკითხები: ფინანსებზე წვდომის გამარტივება, ცოდნის ამაღლება და მცირე ბიზნესის სამართლებლივი რეგულირება დღემდე პრობლემად რჩება. ნაშრომის ამ ნაწილში გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან დღემდე შესწავლილია საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირების სამართებლივი რეგულირების საკითხები ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების საფუძველეზე ჩატარებულია ანალიზი და ნაჩვენებია:– ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება,დასაქმება. შრომის ანაზღაურება, შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლების მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სურათი. ამავე მაჩვენებლების მიხედვით ნაჩვენებია სტრუქტურა ბიზნეს სექტორში . აქვეა ნაჩვენები ქვეყნის რეგიონულ ჭრილში დასაქმებულთა და გამოშვებული პროდუქციის წილი საწარმოთა ზომების მიხედვით. ყურადღებას იმსახურებს, რუსეთ– საქართველოს ერთკვირიანი ომით გამოწვეული მოგება–ზარლიანობის დიაგრამის მიხედვით , მცირე ბიზნესის გარემოს ცვლილებებთან ადაბტირების უნარის შეფასება. ნაშრომის ამ ნაწილში მოცემულია რეგიონულ ჭრილში მცირე ბიზნესის სტრუქტურა დასაქმებისა და გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებლის მიხედვით . ამასთან საუბარია ახალი მეთოდოლოგიით მცირე ბიზნესის განვითარების მაჩვენებელზე ნაჩვენებია 2015–2017 წლების მონაცემებით არსებული სურათი . ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნა...

Резюме

Во вводной части представлена актуальностьтемы, обозначены цель и задачи. Малый бизнес выполняет ряд важных социально-экономических функций в экономике. Опыт и практика развитых стран показывают, сколько малого бизнеса находится в развитии национальных экономик. Они играют главную роль в сокращении безработицы, развитии инновационной экономики, улучшении социальных условий, формировании среднего класса в обществе. Естественно, в таких странах, как Грузия, где высокий уровень безработицы, экономическое развитие идет медленно, малый и средний бизнес и его развитие являются актуальной проблемой. Таким образом, тема исследования, текущее состояние развития малого бизнеса и перспективы в Грузии, является большей проблемой.

Первая часть работы посвящена важности малого бизнеса, его особым особенностям и преимуществам других форм бизнеса. motselulia развитых стран, критерии малого бизнеса показали, что до сих пор нет никакого соглашения в мире между развитыми странами с небольшими изменениями в бизнесе с теми же критериями оценки taobaze.nashromis эта частью доклада приходит к выводу, что, к сожалению, экономическая литература, нет консенсуса в состоянии малого бизнеса (s qoveltao) признаки (критерии) по импорту, статистическая стоимость универсальности требования, кажется, еще не примирились состояния, что все небольшие изменения в бизнес-статусе функций, чтобы быть один и тот же. Не обязательно измерять их статистическую ценность, потому что это зависит от уровня развития страны, ее социально-экономического состояния и культуры. Однако во всем мире очевидно, что в каждой стране, определяющей статус малого бизнеса повсеместно, «количество работников», поэтому его можно признать международным критерием определения статуса малого бизнеса. Статистические значения критериев предпринимательства для малого бизнеса должны быть проверены в экономическом развитии страны в соответствии с социально-экономическими изменениями в стране. Может включать 5-10 лет. Рассмотрение реальной картины развития малого бизнеса в экономике требует наличия соответствующих статистических данных в стране и решения проблем с получением информации в этой области. Желательно выпускать статистические данные по бизнес-сектору отдельно.

Вторая часть работы заключается в анализе существующего состояния развития малого бизнеса и государственной поддержки. Вопросы обсуждаются в развитых странах и поддержке малого бизнеса в Грузии. Для сравнения кратко описаны некоторые виды поддержки малого бизнеса в развитых странах и в Грузии. Правда, с 2014 года в стране реализуется ряд мероприятий по поддержке малого бизнеса с целью выполнения обязательств, вытекающих из Соглашения об ассоциации с Европой и других международных соглашений. Но вопросы: финансовая доступность, информированность и малого бизнеса Правовые нормы являются проблематичными

rcheba.nashromis эта часть последних 90-х годов века до сегодняшнего дня была изучена в Джорджии формации малого бизнеса samarteblivi регулирования статистических данных в прошлом году на основе анализа и показано: оборот, производство, занятость. Оплата труда в зависимости от показателей производительности труда, развития малого и среднего бизнеса. Эти же показатели показывают структуру бизнес-сектора. Также показана доля произведенной продукции и продукции, произведенной на региональном уровне страны по показателям предприятий. Это заслуживает внимания, чтобы оценить способность адаптироваться к изменениям среды малого бизнеса, согласно диаграмме потери прибыли, вызванной однонедельной войной между Россией и Грузией. В этой части исследования структура малого бизнеса в региональном контексте основана на занятости и выпуске продукта. Кроме того, новая методология показывает данные о развитии малого бизнеса, показывая данные за 2015-2017 годы. По окончании работы дается заключение ...

სარჩევი

შესავალი
თავი 1 მცირფე ბიზნესის არსი, თავისებურებები , მახასიათებლები და განვითარების განმსაღვრელი მაჩვენებლები.
1.1 მცირე ბინესის არსი, თავისებურებებიმნიშვნელობა
1.2 მცირე ბიზნესის (საწარმოების) სტატუსის განსაზღვრა ,უცხოქვეყნებში და საქართველოში.
თავი 2 საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების და სახელმწიფო მხარდაჭერის არსებული მდგომარეობის ანალიზი
2.1 მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში
2.2 მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტივები საქართველოში
დასკვნა
გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

თემის აქტუალობა: გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, მცირე ბიზნესი მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა. იგი განვითარებული ქვეყნების ყურადღების ქვეშ იყო ჯერ კიდევ 30 -იანი წლებიდან. ამ ქვეყნების პრაქტიკამ მსოფლოს დამაჯერებლად აჩვენა, რომ მცირე საწარმოებს ნამდვილად შესწევთ უნარი, მოკლე დროში განახორციელონ ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა. მცირე საწარმოთა ქსელის შექმნა უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას, ბაზარზე სასაქონლო მოცულობის ზრდას და მომხმარებელთა მომსახურებას.

გლობალიზაციის ეპოქაში, პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ დასაყრდენ და მამოძრავებელ ძალად აღიარებულია თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული მცირე ბიზნესი. ეკონომიკაში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს საშუალო კლასის ფორმირებაში. განვითარებულ ქვეყნებში მცირე/ინოვაციურ მცირე ბიზნესს მხარს უჭერს, როგორც სახელმწფო ისე კერძო ინსტიტუტები ისეთ ლიბერალურ ქვეყანაშიც კი როგორიცაა აშშ. დიდია მცირე ბიზნესზე მხარდაჭერის მიმართულებით ევროკავშირის და სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. დღეს საქართველოში ამ გამოცდილების გაზიარების აუცილებლობის აღიარებასთან გვაქვს საქმე.„აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა“მ (EaP), ასოცირების შესახებ შეთანხმებამ, რიგი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, მათ შორის მცირე ბიზნესის განვითარების და მხარდაჭერის აუცილებლობის მიმართულებით.

ქვეყანამ ევროკავშირთან ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესებიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე 2014 წლიან ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომით, დღემდე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მცირე ბისნესის

განვითარების მიმართულებით, მაგრამ გატარებული ქმედებებით დღემდე მცირე ბიზნესმა ვერ შეძლო საქართველოლ ეკონომიკაში თავისი შესაძლებლობების გამოყენება.

საქართველოში დღემდე მაღალია უმუშევრობის დონე, დაბალია ეკონომიკის ზრდის კონკურენტუნარიანობის და ინოვაციურობის მაჩვენებლები. ამითაც არის აუცილებელი სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესის განვითარების სწორი მექანიზმის შემუშავება. მექანიზმის შემუშავებისათვის კი აუცილებელია მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა.

ამდენად საკვლევი თემა „ მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში " მეტად აქტუალურ პრობლემას ეხება.

კვლევის მიზანი: ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, საბაკალავრო ნაშრომის მიზანია საქართველოში მცირე ბიზნესის ჩამოყალიბების, განვითარების და მხარდაჭერის არსებული მდგომარეობის გამოკვლევა, ამ მიმართულებით უცხოური გამოცდილების შესწავლა. 2014 წლიდან მცირე ბიზნესის განვითარების ინფრასტრუქტურის დარეგულირების მიზნით გატარებული ქმედებების შედეგების ჩვენება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დეკლარირებულ მასალებზე დაყრდნობით. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები:

– მცირე ბიზნესის არსი, თავისებურებები, მახასიათებლები და სტატუსის განმსაზღვრელი მაჩვენებლების შეფასება. ამ მხრივ შესწავლილია მცირე ბიზნესის არსი, თავისებურებები და მნიშვნელობა; მცირე ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების და მათი სტატისტიკური მახასიათებლები უცხო ქვეყნებში და საქართველოში.

– საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების და სახელმწიფო მხარდაჭერის არსებული მსგომარეობის ანალიზი. ამ მხრივ შესწავლილია მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარებულ ქვეყნება და საქართელოში. ჩატარებულია

მცირე ბიზნესის განვითრების არსებული მდგომარეობის ანალიზი და დეკლარირებული სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია მცირე ბინესის განვითარების სურათი.

კვლევის საგანია: მცირე ბიზნესი.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები: გამოყენებულია ეკონომიკური ანალიზისა და სინთეზის, შედარებითი ანალიზის, ისტორიულისა და ლოგიკური თანაფარდობის, განზოგადებისა და აბსტრაქციის და სტატისტიკური დაჯგუფების მეთოდები. ასევე, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია საკვლევი პრობლემის შესახებ: ცნობილი ქართველი მეცნიერების ნაშრომები; საქართველოს პარლამენტის კანონები, მთავრობის გადაწყვეტილებები და პუბლიკაციები.

კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენს: მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, საქართველოს: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მასალები.

საქართველოს მცირე ბიზნესის შექმნა-განვითარების შესწავლა ყურადღებას იპყრობს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ჯერ ერთი, ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის ამ სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლა, სისტემატიზება საინტერესო იქნება როგორც საქართველოს ეკონომიკის პრობლემების შესწავლით დაკავებული მკვლევართათვის, ასევე მცირე ბიზნესში დასაქმებულთათვის; ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი კურსის შესწავლისას, როგორიცაა: „ბიზნესის საუფუძვლები“.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ --- გვერდს და შედგება შესავალის, ორი თავის,ოთხი პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

თავი 1. მცირე ბიზნესის არსი, თავისებურებები, მახასიათებლები და განვითარების განმსაზღვრელი მაჩვენებლები

1.1 მცირე ბიზნესის არსი, თავისებურებები და მნიშვნელობა

ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილება ბიზნესის შემდეგი ფორმები: მიკრო, მცირე, საშვალო, მსხვილი, გლობალური (საერთაშორისო). ბიზნესის ამ ფორმებს შეესაბამება მიკრო, მცირე, საშვალო, მსხვილი საწარმოები და ტრანსეროვნული კორპორაციები.

მცირე ბიზნესი თავისი მოცუულობით ეკონომიკის ერთ–ერთ მსხვილ აგრეგატს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნეის სისტემის, ასევე, მთელი აკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის პირველწყაროა. მცირე ბიზნესი, როგორც ტერმინი, წარმოდგება არა იქიდან, რომ მცირე ბიზნესი, ერთობლიობაში, პროდუქციის მცირე რაოდენობას ქმნის, არამედ იქიდან რომ მის ოგრანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმო. წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მონაცმები მოწმობს, რომ მცირე ბინესში იწარმოება ამ ქვეყნის მშპ–ს ნახევარზე მეტი[1].

უცხო ქვეყნის ეკონომიკაში ვხვდებით სამი ფორმის მცირე საწარმოს:

1. სტატუსკვო (,,სიცოცხლის უზრუნველმყოფ“) მცირე საწარმოებს, ესენია საწარმოები, რომლებიც არ ცდილობენ გაფათოებას;
2. ნელა განვითარებადი საწარმოები, ცდილობენ გაფართოებას გადავიდნენ ბიზნესის სხვა ფორმაში, მაგრამ არასწრაფი ტემპით;
3. სწრაფ განვითარებადი მცირე საწარმოები, საწარმოები, რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს ისინი სწრაფი ტემპით გადადიან ბიზნესის სხვა ფორმაში (საშუალო, მსხვილ გლობალურ ბინესის ფორმაში). მცირე ბიზნესის ბოლო ორი ფორმა (ნელა და სწრაფგანვითარებადი) პოტენციური საშუალო ბიზნესია.[2]

---

[1]რ.აბესაძე, ე. კაკულია მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. 2009, გვ 15

[2] Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელობის და მისი განვითარების დონის შეფასება, უწინარესად, მაკროეკონომიკურ მაჩვენებელზეა (მშპ, დასაქმებულთა რიცხოვნობა, ბიუჯეტის შემოსავლები და სხვა ხარჯები, იმპორტი, ექპორტი, უმუშევრობაა, ინფლაცია და ა.შ.) მისი გავლენის დადგენაში უნდა გამოიხატებოდეს. ამერიკელი სპეციალისტების [Горфинкел В...გვ. 106] თვალსაზრისით, მცირე ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკაში გამოიხატება: სამუშაო ადგლების შექმნაში; ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურების დანერგვაში: მსხვილი კორპორაციების გარკვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში; სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფაში.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მცირე საწარმო შეუცვლელია ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სფეროში. იგი ორიენტირებულია ტექნოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეების შემუშავება – დანერგვაზე. ამ მიმართულებით უცხოეთში ჩატარებული ემპირიული კვლევების შედეგად იმ ფირმების მაღალი აქტიურობა იქნა ნაჩვენები, რომლებშიც დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 100 კაცს. აშშ–ს ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების ყოველ დოლარზე, ფირმები, სადაც დაკავებულია არაუმეტეს 100 კაცისა, 4–ჯერ მეტ სიახლეს ნერგავდა, ვიდრე ფირმები, სადაც დასაქმებულია 1000–და 10 000–მდე ადამიანი, და 24–ჯერ მეტს ვიდრე კომპანიები, სადაც დაკავებულია 10 000 კაცზე მეტი [Мазоль С, გვ. 18]. ახალი პროდუქციის დანერგვისა და ახალი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის გვერდით, მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსხვილი კორპორაციების საქმიანობაში მათი მომარაგებით, პროდუქციის გასაღებით და მათთვის მომსახურების გაწევით.

საბაზისო ეკონომიკის პირობებში ხშირად არსებობს მცირე და მსხვილი ბიზნესის ინტეგრაციის (დაახლოების) ობიექტური აუცილებლობა. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და მსხვილი ბიზნესის ურთიერთობების ძირითადი ფორმებია: ლიზინგი;

სუბარენდა; ფრანჩაიზინგი; ლიცენზიური შეთანხმებანი და ვენჩურული დაფინანსებები.

ამერიკის სამეწარმეო პრაქტიკაში მთელ რიგ უმსხვილეს საწარმოთა სტრუქტურაში დიდი ადგილი უჭირავს მცირე საწარმოებთან ურთიერთობას. მცირე ფირმები ხელს უწყობენ მსხვილ კომპანიებს, იყვნენ მოქნილნი და უბიძგებს მათ უახლესი ტქენოლოგიების დანერგვისკენ.

იაპონიაში ურთიერთობა მცირე და დიდ ფირმებს შორის განსხვავებულ ხასიათს ატარებს. აქ მცირე საწარმოთა უმრავლესობა სუბარენდული[3] სისტემით არის დაკავშირებული დიდ ბიზნესთან. იაპონიაში მცირე ბიზნესი მსხვილი ბიზნესისათვის მოქნილობისა და შემოქმედებითი ფხიანობის წყაროს წარმოადგენს. აქ მათი ურთიერთობა ურთიერთშევსების საფუძველზეა აგებული და მიმართულია მთელი ეკონომიკისა და მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სრულყოფისკენ. მოქმედი სუბარენდული სისტემა, მსხვილი ფირმების მომარაგების საიმედოობის გადიდებასთან ერთად, მით უფრო აგრესიული კონკურენტული ბრძოლის საშუალებას იძლევა.

ამდენად, მცირე საწარმოები ხელს უწყობენ მსხვილი საწარმოების კონკურენტუ – ნარიანობის გაძლიერებას და ამით მთელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო არენაზე.

მნიშვნელოვანი განსხვავება მცირე და მსხვილ ბიზნეს შორის ვლინდება არამხოლოდ ოპერაციათა მაშტაბებში, არანედ ბიზნესის ორგანიზაციაში. მაგალითად, კადრების განყოფილების შექმნა ისეთ საწარმოებში, სადაც დასაქმებულთა რიცხვი 10 კაცია, მიზანშეწონილი არაა, აქ მართვის როგორც ოპერატიულ, ისე სტრატეგიულ ფუნქციებს ასრულებს ხელმძღვანელი – კომპანიის მესაკუთრე. მცირე საწარმოში, როგორც წესი, არსებობს მმართველური გადაწყვეტილების მიღების მხოლოდ ერთი

[3]სუბსიდირება (SUBLEQSE) – არენდირებული ქონების ნაწილის გადაცემა მესამე პირისათვის არენდით. ამ შემთხვევაში არენდატორი მეანაბრის როლში გამოდის

ცენტრი. ასეთ საწარმოებში (ფირმებში), რესურსების სიმცირის გამო, დაგეგმის პერიოდი მოკლეა და არ აღემატება 1 წელს. ამდენად, აღინიშნება შემდეგი დამოკიდებულება: რაც ნაკლებია საწარმოს ზომები, მით ნაკლებია მმართველური გადაწყვეტილებების ციკლი მით ნაკლებია მენეჯმენტში დანახარჯი. მრავალი მცირე ფირმის არსებობა განპირობებულია იმით, რომ ისინი უზრუნველყოფენ მომხმარებლების დაკმაყოფილებას იმ სპეციალიზებულ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელთა სერიული წარმოება ან მსხვილი მომსახურების რგოლების შექმნა ეკონომიკურად გაუმართლებელია. ასეთი საქონლის ბაზარი, ცხადია, არაა დიდი, მაგრამ მცირე ფირმები, რომლებიც მომხმარებელს უნიკალური სახის საქონელს აწვდიან, პოულობენ თავიანთ ნიშას ბიზნესის სამყაროში, რითაც ხელს უწყობენ ქვეყანაში ჯანსაღი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას. მცირე ბიზნესის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მისი მაღალი მოქნილობა ეკონომიკური გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი.

მცირე ბიზნესის კიდევ ერთ–ერთი თავისებურება მდგომარეობს გაკოტრების მაღალ მაჩვენებლებში – მცირე საწარმოების თითქმის 50% იხურება საქმიანობის პირველ 2 წელს. წარმატებულია მცირე ბიზნესის მხოლოდ 15%. გაკოტრება გამოწვეულია რიგი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებით, მაგრამ, ამავე დროს, გაკოტრების პროცესი ეკონომიკური სუბიექტის მექანიზმის ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია. იგი იძლევა საშუალებას, თავი დავაღწიოთ არაეფექტიან მეწარმეობას, ამავე დროს, იძლევა უნარიანი ბიზნესმენის გამოვლენის შესაძლებლობას. ამიტომაც, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოები ცდილობენ, გაკოტრება რაც შეიძლება ნაკლებ მტკივნეული იყოს ბიზნესმენებისთვის. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მოიძებნოს გამაწონასწორებელი ბალანსი ბიზნესმენის საქმიან აქტიურობასა და ბიზნესმენის მინიმალური პასუხისმგებლობის დონეს შორის. ამასთან, არსებიათია სახელმწიფოს მხრიდან მცირე საწარმოს გაკოტრების სწორი მექანიზმის შემუშავება, რათა დავიცვათ საზოგადოება ეკონომიკური რესურესების

არაეფექტიანი გამოყენებისგან. ამდენად, უნდა გამოიყოს მცირე ბიზნესის ერთ–ერთი თვისება, რომ აქ ხორციელდება ეკონომიკური რესურსების გამოყენების ექსპერიმენტი. მცირე ბიზნესის ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. იგი არის საბაზრო ეკენომიკის ბიზნეს სისტემის პირველი წყარო, რომელიც ფუნქციონირებს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპს, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხსა და სტრუქტურას. ეს მოვლენა თანამედროვე ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნის მნიშვნელოვანი საფუძველია. თავისი არსით იგი ტიპიურად საბაზრო ბუნების მატარებელია. საბაზრო მექნიზმის სფეროში მცირე ბიზნესის როლი იმაში ვლინდება, რომ იგი ახერხებს ბრძოლას მონოპოლისტებთან, რასაც აღწევს ცვალებად საზოგადოებრივ მოთხოვნაე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მისი მოქნილობით.

მცირე ბიზნესით ხორციელდება საოგადოებრივი მოთხოვნის სრულყოფილი დამოკიდებულება ბაზრის ნიშების შევსების ხარჯზე, რომელთა იგნორირებას ახდენს მსხვილი და საშვალო ბინესი. მცირე საწარმოები ურუნველყოფენ მსხვილი ფირმების შესაძლო სპეციალიზაციას. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ბოლო წლებში, მსხვილმა საწარმოებმა წვრილი სპეციალიზებული საწარმოების სასარგებლოდ თავი დაანებეს დამხმარე და დამამზადებელი ვიწრო საწარმოო რგოლების შექმნას.

საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის სფეროში მცირე ბიზნესი მათთან დაკავშირებულ და დასაქმებულ ადამიანებს უყალიბებს მესაკუთრის ფსიქოლოგიას, უნარს, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარ ძალებზე დაყრდნობით. მცირე ბიზნესი ადამიანს ეხმარება პიროვნების რეალიზაციაში, საშვალებას აძლევს იგრძნოს თავი, როგორც რთული ამოცანების გადაჭრის უნარის მქონემ.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურის სფეროში მცირე ბიზნესი წარმოადგენს ეგრეთ წოდებული საშვალო ფენის ფორმირების საფუძველს, რომელის დღეისათვის საბარო ტიპის საზოგადოების ძირითადი ნაწილია.

მცირე ბიზნესი აყალიბებს საგადასახადო შენატანების დიდი მასას, მოსახლეობის დიდ ნაწილს უზრუნველყოფს არსებობის საშვალებით, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. კონკრეტული გარემოს შექმნის სფეროში მცირე საწარმო ახერხებს ზეწოლას მსხვილ საწარმოებზე და ამათ სტიმულს აძლევს მათ ინოვაციურ საქმიანობას. ისინი თავიანთი განსხვავებული სტრატეგიით ხელს უწყობენ დარგის კონკურენტუნარიანი გარემოს შენარჩუნებას. მცირე ბიზნესს აქვს შემდეგი კონკურენტული უპირატესობანი: დინამიკურობის მაღალი დონე; გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობა; კაპიტალის სწრაფი გადასროლის შესაძლებლობა; მცირე აუნაზღაურებადი (დაუბრუნებადი) დანაკარგები; კაპიტალზე დაბალი მოთხოვნილება; პროსუქიის ასორტიმენტსა და წარმოებაში სწრაფი ცვლილებების შეტანას უნარი; მოკლე ტექნოლოგიური ციკლი; დამამტავრებელ წარმოებაში მარაგების სიმცირე; სამუშაოების სწრაფი ბრუნვა (რაც ადიდებს შემოსავლებს, ამცირებს ამოსყიდვის ვადებს, ამცირებს ეკონომიკური რისკის დონეს); წარმოების ორგანიზაციისა და მათვის უკიდურესად რაციონალური სტრუქტურის გამო, დამატებით (ზედნადები) ხარჯების სიმცირე; პროდუქციის გასაღების მდგრადობა კონკრეტულს მომხმარებელზე ორიენტარიის წყალობით; სწრაფი შემგუებლობა ბაზრის მოთხოვნის ცვლილებებთან; მმართველობითი ინფორმაციის გადაცემის მაღალი სისწრაფე (რაც მცირე ფირმებს აძლევს შესაძლებლობას, ოპერტაიულად შეძლონ რეაგირება კონკურენციის პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე).

ამასთან, მცირე საწარმოების ფლობენ მთელ რიგ არსებით ნაკლოვანებბებს რაც იწვევს მათი კონკურენტუნარიანობის დაქვეითებას, რომელიც განაპირობებს მცირე საწარმოების გაკოტრების მაღალ პროცენტს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან და შესაბამისი ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ მცირე ბინესის განვითარების სამ მიმართულებაზე;

1. როდესაც მცირე საწარმო ახდენს მასშტაბების კონსერვაციას, შემდგომი სტატუსკვოს შენარცუნებით;

2. როდესაც მცირე საწარმო აქტიურობას ადიდებს ნელ–ნელა;

3. როდესაც ხდება მცირე საწარმოების სწრაფი განვიტარება და მათი გარდაქმნა საშვალოდ, ხოლო შემდეგ მსხვილ კომპანიად;

აქ გვინდა შევჩერდეთ ორი ქართველი მკვლევარის [უ. სამად. ო. შურღ.] მცირე ბიზნესზე შეხედულებას. ჩვენი აზრით ეს შეხედულებები ურთიერთ შემავსებელია; მცირე ბიზნესი არის მცირე საწარმოების ერთობლიობა, რომელსაც შედარებით მცირე კაპიტად დაბანდებით შეუძლია სწრაფად გაზარდოს ეკონომიკაში საქაონელ მწარმოებელთა რაოდენობა და ოპერატიულად დააკმაყოფილოს საქონელზე და მომსახურებაზე მოსახლეობის გაზრდილი და მრავალფეროვანი მოთხოვნილებანი. მცირე საწარმოებს შეზღუდული ბაზრის პირობებშიც კი შეუძლიათ მოძებნონ და დაიკავონ ნიშა და იმუშაონ მომგებიანად. მცირე ბიზნესის უპირატესობაა მოქნილობა და საბაზრო სიტვაციებზე სწრაფი რეაგირება.[4] მეორე არ თვლის საკმარისად ამ ნიშან თვისებებს და წერს:[5] „ ამით მაინც არ ამოიწურება მისი მიზანდანიშნულება, მხედველობაში გვაქ ის, რომ, ჯერ ერთი, მნიშველოვნაწილად, ასევე უწინარესად, მცირე მეწარმეობის პოტენციური შესაძლებლობებისა და მსხვილ ბიზნესთან შედარებით მის უპირატესაობათა მაქსიმალურ რეალიზაციასთან არის დაკავშირებული საერთო ეროვნული ეკონომიკური კეთილდღეობა, მოსახლეობის განვითარების სტაბილურობა;

[4]სამადაშვილი უ. ბინესის საფუძვლბი, თბ. უნივერსალი 2016 გვ 186–187.
[5]შურღაია ო, მცირე ბიზნესის საფუძვლები, თბ. 2010 გვ 83–84

მეორე, ამავე დროს, მცირე ბიზნესი დიდ როლს ასრულებს მეურნეობის სხვადასხვა დარგიდა და სექტორის ურთიერთშეთანაწყობილ, ურთერთდაბალანსებულ განვითარებაში;

მესამე, მსხვილი, საშვალო და მცირე ბიზნესის ურთერთთანამშრომლობა, ურთიერთეგავლენა და ურთერთდამოკიდებულება ხელსაყრელ პირობებს ქმნის თითოეულ სფეროში მატერიალური, შრომითი და ინტელექტუალური რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებისთვის, პროდუქციის მიწოდებასა და მოთხოვნაში წარმოქმნილ „ვიწრო ადგილებზე“ სწრაფი რეაგირებისთვის;

მეოთხე, სრულიდ გამორჩეულია მისი როლი თავისუფალი, კუნკურენტული ბიზნეს გარემოს უზრუნველყოფის, მისი ჰარმონიზაციის თვალსაზრისითაც;

მეხუთე, ამასთან ერთად , უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის სწორეს ეს სექტორია მოწოდებული, შექმნას მომსახურების, საცალო ვაჭრობის, ცალკეული სამრეწველო დეტალების (მაკომპლექტებელი ნაწარმის) წარმოებისა და მიწოდების ეფექტიანი სეგმენტები, თავისუფალი „ეკონომიკური ნიშების“ ათვისებისა და ბაზრის იმ პროდუქციით (საქონითა და მომსახურებით) გასაჯერებლად რომლის წარმოება რიგი ფაქტორების გამო, არაეფექტიანია, არამომგებიანია, არახელსაყრელია მსხვილი და საშვალო ბიზნესისთვის, მაგრამ, ამათგან განსხვავებით, ასევე, რიგი ფაქტორების გამო, ეფექტიანი, მომგებიანი და ხელსაყრელია მცირე საწარმოებისთვის და ამასთანავე აუცილებელი და სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის;

მეექვსე, ფუნქციონირების ადგილის შერჩევის სიმარტივე და წარმოების შედარებით შეზღუდული მასშტაბები ხელსაყრელ პირობებს უქმნის მცირე საწარმოებს, პროდუქციის წარმოებას და ადგილობრივი სამომხმარებლო მოთხოოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოიყნონ ე.წ არაეკონომიკური ნედლეული, რომლის წარმოებაში ჩართვა, გადამუშავებისა და მზა პროდუქციის მოხმარების ზონიდან

დიდი დაშორების გამო, არაეფექტიანი იქნებოდა მსხვილი და საშუალო საწარმოებისთვის“.[6]

მცირე ბიზნესზე ჩვენს მიერ განხილულ შეხედულებების განზოგადოებით შეილება ჩამოყალიბდეს მისი განმსაზღვრელი ნიშან–თვისებების რამდენიმე ჯგუფი: პირველი ჯგუფი რომელიც განპირობებულია წარმოების პროცესების ხასიათით; მეორე, მენეჯმენტისა და წარმმოების სპეციპიკიდან გამომდინარე ; მესამე, ცალკეული მდგენელების (განათლება,ფინანსები,და ა.შ) მდგომარეობით; მეოთხე, ეგზოგენური ფაქტორების ზემოქმედების თავისებურებებით.

1.2 მცირე ბიზნსის (საწარმოების) სტატუსის განსაზღვრა უცხო ქვეყნებსა და საქართველოში

მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი ეკონომიკაში მიღებულია, როგორც ბიზნეს ფორმა. თითოეულ მათგანს ეკონომიკაში ჰყავს თავისი წარმომადგენელი (საწარმოს, ფირმის და სხვა სახით). საწარმოების ფირმირების და სხვათა მიკუთვნება (წარმომაგენლობის განსაზღვრა) ბიზნესის ამა თუ იმ ფორმაზე, მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხდება კანონით ან სხვა სამთავრობო ღონისძიებებით. კანონით განისაზღვრება კრიტერიუმები და კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეები. მცირე ბიზნესის ორგანიზაციულ ობიექტს წამოადგენს მცირე საწარმო. მცირე საწარმო, წარმოების ეს უძველესი ფორმა, პირველად 1931 წელს ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა მ. მილანმა დიდი ბრიტანეთის სამრეწველო და საფინანსო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოსვლისას, აშშ–ში მცირე საწარმოს პირველი განმარტება გამოჩნდა 1948 წელს კანონში – „გარკვეული სახეობის მომსახურების შესახებ“ და 1953 წელს კანონში – „მცირე ბიზნესის შესახებ“. [Мазоль С. 2004, გვ12] აღნიშნულ კანონში განისაზღვრა შემდეგი რაოდენობრვი კრიტერიუმები საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა (ყვეაზე მეტად გავრცელებული კრიტერიუმი);

[6]შურღაია ო, მცირე ბიზნესის საფუძვლები, თბ. 2010, გვ. 83–84

წარმოების წლიური მოცულობა; რეალიზაციის წლიური მოცულობა; აქტივების საბოლოო წლიური საბალანსო ღირებულება; საწარმოს წილი ბაზარზე. [Мазоль С.2004, გვ.13]

მცირე ბიზნესის საწარმოთა ზომის კრიტერიუმების და ამ კრიტერიუმების სტატიკური სიდიდის განსაზღვრა არსებითია, რათა ხელისუფლებამ შეძლოს სწორი პოლიტიკის შემუშავება მცირე ბიზნეის მხარდასაჭერად.

დიდ ბრიტანეთში 1971 წელს შეიქმნა მცირე ბიზნეის გამოკვლევის კომისია. მისი მუშაობის შედეგი ცნობილია ,,ბოლოტონის ანგარიშის" სახელწოდებით.[ნიდლი დ.ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი, თბ, BGC biznes,]. ამ ანგარიშში მოცემული იყო მცირე ფირმის განსაზღვრის პირველი სერიოზული მცდელობა. სიძნელეები იმაში მდგომარეობდა, რომ მრეწველობაში მიღებული კრიტერიუმის (დასაქმებათა რაოდენობა) გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა სხვა დარგებში, ვთქვათ, საცალო ვაჭრობაში, სადაც სავსებით განსხვავებული კრიტერიუმებია საჭირო. ,,ბოლოტონის ანაგარიშის" მიხედვით, მცირე საწარმოს განსაზღვრისთვის შემდეგი კრიტერიუმები იქნა მიღებული: მრეწველობაში, მშენებლობასა და სამთო საქმე/დამუშავებაში – დასაქმებულთა რაოდენობა; საცალო ვაჭრობაში, საბითუმო ვაჭრობაში, ავტომობილებით ვაჭრობასა და მომსახურებაში – წლიური ბრუნვის მოცულობა, საგზაო ტრანსპორტში –სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა; საზოგადოებრივ კვებაში – ყველა საწარმო, ერთგვარი ტიპის მაღაზიებისა და ლუდის ქარხნების გარდა

მცირე საწარმოს განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ერთ–ერთი მცდელობაა ამერიკელი მკვლევარების მიერ შემოთავაზებული მცირე საწარმოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ დომინანტს (წამყვანს) თავიანთ სფეროში, ამასთან, მათი წლიური რეალიზაციის მოცულობა და დასაქმებულთა რაოდენობა უნდა იყოს მცირე ამავე დარგის სხვა ფირმებთან მიმართებაში [Речмен Д. ... გვ.100]. აშშ–ში განსახვავებენ ორი ტიპის მცირე საწარმოს:

მცირე საწარმოებს, რომელთაც გაფართოების შესაძლებლობა არ აქვთ (მათ ,,სიცოცხლის უზრუნველმყოფ“ საწარმოსაც უწოდებენ – პირადი და ოჯახური მცირე ბიზნესი), და მცირე საწარმოებს, რომლებიც საწყის ეტაპზე იქნება მცირე კაპიტალის დაბანდებით, შემდგომ მისი გაფართოების მიზნით, („სწრაფად განვითარებადი“ საწარმოები).

მსოფლიო ბანკის მონაცემებით იმ კრიტერიუმების რაოდენობა, რომელთა მიხედვითაც დგინდება, ეკუთვნის თუ არა საწარმო მცირე ბიზნესის სფეროს, 50-ს აჭარბებს, მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში (ერთი წელი) ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევა:

- დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა;
- პერსონალის რაოდენობა;
- საწესდებო კაპიტალის ოდენობა;
- აქტივების მოცულობა;
- მოგების ან შემოსავლის ოდენობა;

კრიტერიუმები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით.

ევროკავშირი. ევროკავშირის კომისიის 1996 წლის 3 აპრილის რეკომენდაციების თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოდ მიჩნეულნი არიან შემდეგი პარამეტრების მქონე ფირმები: **მცირე საწარმოდ** ითვლება საწარმო:

- სადაც დასაქმებულია 50-ზე ნაკლები ადამიანი;
- ან აქვს წლიური ბრუნვა, რომელიც არ აღემატება 7 მილიონ ევროს;
- ან გააჩნია ნაერთი წლიური ბალანსი, რომელიც არ აღემატება 5 მილიონ ევროს;

ამასთან, უნდა აკმაყოფილებეს შემდეგ შემდეგ მოთხოვნას: დამოუკიდებლობის კრიტერიუმს, რაც ნიშნავს, რომ მცირე საწარმოში მოიაზრება საწარმო, რომლის კაპიტალშიც ერთი ან რამდენიმე საწარმოს წილი, რომელიც არ მიეკუთვნება მცირე და საშუალო ბიზნესს, არ აღემატება 25%-ს.

2003 წლის 6 მაისს ევროკომისიამ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელი ახალი კრიტერიუმები მიიღო, რომლებიც ძალაში 2005 წლის 1 იანვრიდან შევიდა. ამის გამო მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა შემდეგნაირი კლასიფიკაცია ჩამოყალიბდა:

საშუალო საწარმო- დასაქმებულთა ზღვარი 50-249 ადამიანი; ბრუნვა-50 მილიონ ევრომდე წელიწადში; ბალანსი- 43 მლნ ევრომდე.

მცირე საწარმო- დასაქმებულთა ზღვარი 10-49 ადამიანი; ბრუნვა- 10 მლნ. ევრომდე წელიწადში; ბალანსი- 10 მლნ. ევრომდე;

მიკრო საწარმო- დასაქმებულთა ძღვარი 10 კაცზე ნაკლები; ბრუნვა- 2 მლნ. ევრომდე წელიწადში; ბალანსი- 2 მლნ. ევრომდე;

ევროსტატის მეთოდოლოგიით ევროკავშირში საწარმოთა ზომები განისაზღვრება მოცემულ ცხრილში

ევროსტატი

საწარმოს ზომა	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	ბრუნვა (მლნ ევრო)	ან აქტივები (მლნ ევრო)
მსხვილი	>250	> 50	> 43
საშუალო	<250	≤ 50	≤ 43
მცირე	< 50	≤ 10	≤ 10
მიკრო	<10	≤ 2	≤ 2

წყარო: *gtodradze@geostat.gewww.geostat.ge*

ევროკავშირში დამუშავებულია და მოქმედებს მცირე საწარმოთა პროგრამა (Charter for Small Enterprises,-ევროპის მცირე ბიზნესის ქარტია) , რომელიც ევროკომისიის (ევროკავშირის მთავრობა) პოლიტიკის საფუძველია მცირე ბიზნესის საწარმოებისთვის. აღნიშნული დებულება მიღებული იქნა ესპანეთში 2000 წელს და მათ მიერ 2008 წელს მიღებული „ევროკავშირის მცირე ბიზნესის აქტი“ ესენი ის მთავარი დოკუმენტებია, რომლებიც დღემდე მცირე ბიზნესის მიმართ ევროპის

განვითარების სტრატეგიას ასახავს. „ევროკავშირის მცირე ბიზნესის აქტი“ , რომლის სტრატეგიაა „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ ეს დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოსთვისაც სამოქმედო პროგრამას მცირე ბიზნესისათვის გასატარებელ ღონისძიებებში ევროკავშირთან ინტეგრირებისთვის.

მცირე საწარმოს რეგისტრაცია და ფუნქციონირება ევროკომისია სამი სახის საწარმოებს გამოყოფს.

1. ავტონომიური საწარმოები **(autonomous enterprises)**_ დღეისათვის ყველაზე გავრცელებული ფორმა.

საწარმო ითვლება ავტონომიურად თუ:

- არ აქვს სხვა საწარმოს აქციების პაკეტის 25 და მეტი პროცენტი;
- მისი აქციების 25 და მეტი პროცენტი არ ეკუთვნის რომელიმე სხვა კომპანიას ან სახელმწიფო დაწესებულებას;
- არაა სხვა საწარმოს ქსელის ნაწილი;

საწარმო შეიძლება ჩაითვალოს ავტონმიურად 25 პროცენტის ზღვარის გადაცდომის შემთხვევაში, თუ მის საქმიანობაში მონაწილეობას იღებს შემდეგი სახის ინვესტორები:

- სახელმწიფო საინვესტიციო კორპორაცია;
- ვენჩურული კომპანიები, ფიზიკური პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან ვენჩურულ ინვესტიციებთან;
- უნივერსიტეტები ან კერძო არაკომერციული კვლევითი ცენტრები;
- ინსტიტუციონალური ინვესტორები, მათ შორის რეგიონალური განვითარების ფონდები;
- ადგილობრივი ავტონომიური ხელისუფლება, თუ მისი წლიური ბიუჯეტი 10 მლნ. ევროზე, ხოლო რეგიონის მოსახლეობა 5 ათასზე ნაკლებია.

2. **პარტნიორული კომპანიები (partner enterprises).** ამ ტიპის საწამოები აერთიანებენ ისეთ საწარმოებს, რომლებიც ფინანსურ პარტნიორობას უწევენ

სხვა კომპანიებს და არცერთი მათგანი პირდაპირ ან ირიბ კონტროლს არ ახორციელებს ერთმანეთზე. საწარმო შეიძლება ჩითვალოს სხვა საწარმოს პარტნიორად თუ:

- იგი სხვა საწარმოს აქციების 25-59 პროცენტს ფლობს;
- სხვა საწარმო ფლობს მისი აქციების 25-50 პროცენტს.

3. **ურთიერთდაკავშირებული საწარმოები (linked enterprises).** ეს ის საწარმოებია, რომლებიც აქციების საკონტროლო პაკეტის პირდაპირი ან არაპირდაპირი მართვის მეშვეობით ქმნიან კავშირებს. ბიზნესის, მათ შორის, მცირე ბიზნესის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს საწარმოს რეგისტრაციის, ფუნქციონირების, ანგარიშების და საქმის წარმოების ღირებულება წარმოადგენს. ის გარკვეულ ადმინისტრაციულ პროცედურებთანაა დაკავშირებული, რომელიც რამდენიმე ტიპად შეიძლება დაიყოს. ასეთი სახის კვლევითი დეპარტამენტის 5 სავალდებულო პროცედურებს ევროკავშირის ქვეყნებში, ადმინისტრაციულ ბარიერებს უწოდებენ. მათ მიეკუთვნება:

1. პროცედურები, რომლებიც განსახორციელებელია სპეციალური კანონმდებლობის არარსებობის შემთხვევაშიც, მაგალითად წლიური ანგარიშები. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სატანადო კანონმდებლობის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნული პროცედურები უნდა შესრულდეს ან უფრო მარტივად, ან ნაკლები სიხშირით.
2. პროცედურები,რომლებიც საწარმომ არ უნდა განახორციელოს, თუ ამას შესაბამისი კანონმდებლობა არ მოითხოვს. ეს ემსახურება სახემწიფო ორგანოების ან საზოგადოების საინფორმაციო უზრუნველყოფას (მათ შორის, მაგალითად ინფორმაცია გადასახადების შესახებ). ყოველივე ემსახურება სხვა კომპანიების ინფორმირებას, ან იმ ინფორაციის რაობის უზრუნველყოფას, რომელიც მაგალითად, გვამცნობს, რომ მიმდინარეობს ქმედება გარემოს

დაცვასთან დაკავშირებით, ან კომპანიის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით

გაერთიანებულ სამეფოში მცირე ბიზნესის სუბიექტად საწარმოს მიკუთვნების საკითხი ეფუძნება ბრუნვასა და დასაქმებულთა მაჩვენებლებს. ამ მაჩვენებლების მიხედვით საწარმოები ითვლება: უმცირეს, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 1-25 ადამიანია; მცირე, სადაც მუშაობს 25- 50 ადამიანი და ამასთან, გადამამუშავებელ მრეწველობაში მცირედ ითვლება საწარმო, სადაც 200ზე ნაკლები ადამიანია დასაქმებული, მაშინ, როცა ვაჭრობაში მცირე საწარმოდ ითვლება ის, რომლის წლიური ბრუნვაც 400 ათას ფუნტზე ნაკლებია. კანონმდებლობის თანახმად (კანონი „კომპანიების შესახებ“), მცირე საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ 2 კრითერიუმს მაინც:

- ბრუნვა წლის განმავლობაში-არაუმეტეს 2,8 მლნ ფუნტი.
- აქტივები-არაუმეტეს 1,5 მლნ. ფუნტი.
- დასაქმებულთა რაოდენობა- 50 კაცი.

გერმანიაში ფედერალური კლასიფაქორის მიხედვით, მცირე საწარმოდ ითვლება ფირმა, სადაც მუშაობს არაუმეტეს 49 ადამიანისა და ყოველწლიური ბრუნვა 1 ილიონზე ნაკლებია. მცირე საწარმო ის ფირმაა, რომელსაც მართავს იურიდიულად დამოუკიდებელი მეპატრონე და რომელიც უშუალოდ მონაწილეობს წარმოების პროცესში, მთლიანად იღებს თავის თავზე ეკონომიკურ რისკებს და რომელიც, როგორც წესი, თვითონ აფინანსებს თავის საქმიანობას კრედიტების მოზიდვის გარეშე.

გერმანია

საწარმოს ზომა	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	ბრუნვა (მლნ ევრო)
მსხვილი	>250	> 50
საშუალო	<250	≤ 50
მცირე	< 50	≤ 10
მიკრო	<10	≤ 2

წყარო:*gtodradze@geostat.gewww.geostat.ge*

საფრანგეთში მცირე საწარმოდ ითვლება ფირმა, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 500 ადამიანს და წლიური ბრუნვა გადასახადების გადახდამდე 200 მილიონზე ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავდება. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში და კვების მრეწველობაში საწარმო, სადაც 200-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული, მსხვილ საწარმოდ ითვლება, ხოლო გადამამუშავებელ მრეწველობაში ზღვარი 500 ადამიანს შეადგენს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) საწარმოში დასაქმების შმდეგი კრიტერიუმები მოქმედებს:

- ძალიან პატარა (შეიძლება ითქვას მიკრო) - არაუმეტეს 19კაცი
- მცირე- არაუმეტეს 99 კაცი;
- საშუალო- არაუმეტეს 100-499 კაცი;
- მსხვილი- 500-ზე მეტი კაცი

გარკვეული განსხვავებები მცირე საწარმოს კრიტერიუმების სტატისტიკურ მაჩვენებელში თვით ევროკავშირის ქვეყნებში არსებობს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური კანონით „მცირე ბიზნესის შესახებ“ მცირე საწარმო არის ფირმა, რომელსაც ერთი ან რამდენიმე მეპატრონე ჰყავს, დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 500 კაცს, აქტივების მოცულობა 5 მლნ. აშშ დოლარს და წლიური მოგება 2 მლნ. აშშ დოლარს. დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით საწარმოები შემდეგნაირად იყოფა: 1- 24 დასაქმებული- უმცირესი;

25-99 დასაქმებული- მცირე; 100-499 დასაქმებული - საშუალო; 500-999 დასაქმებული- მსხვილი; 1000 და მეტი დასაქმებული- უმსხვილესი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკაში ზოგიერთი დარგისთვის (გადამამუშავებელი და მომპოვებელი მრეწველობა) მნიშვნელოვანია დასაქმებულტა რაოდენობა, ხოლო სხვებისთვის (მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურების სფერო) ბრუნვის მოცულობა.

რუსეთის ფედერაციაში მცირე საწარმოს ცნებამ გარკვეული განვითარება გაიარა. აქ მცირე მრეწველობა ნებადართული გახდა 1988 წლიდან და მაშინ მცირე საწარმოდ ითვლებოდა სახელმწიფო საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური მაჩვენებელი არ აღემატებოდა 100 ასამიანს. შემდგომში მცირე ბიზნესის სუბიექტად მიკუთვნების კრიტერიუმები არაერთხელ შეიცვალა (1990, 1991, 1993, 1995 წლები და ა.შ) ბოლო ცვლილებების თანახმად, მცირე ბიზნესის სუბიექტად ითვლებიან კომერციული ორგანიზაციები:

1. რომელთა საწესდებო კაპიტალში რუსეთის ფედერაციის, ფედერაციის სუბიექტების, საზოგადოებრივი და რელიგიური ორგანიზაციების, საქველმოზმედო და სხვა სახის ფონდების ხვედრითი წილი არ აღემატება 25%-ს;
2. რომელთა საწესდებო კაპიტალში ერთი ან რამდეიმე იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული საწარმოს (არ წარმოადგენს მცირე ბიზნესის სუბიექტს) ხვედრითი წილი არ აღემატება 25%-ს;
3. და სადაც მომუშავეთა საშუალო რაოდენობა საანგარიშო პერიოდში არ აღემატება შემდეგ ზღვრულ პარამტრებს:

- 100 კაცს- მრეწველობა, მშენებლობა და ტრანსპორტი;
- 60 კაცს- სოფლის მეურნეობა და სამეცნიერო-ტექნიკური სფერო;

-საბითუმო ვაჭრობა;

- 30 კაცს- ვაჭრობა და მომსახურება;
- 50 კაცს- სხვა დარგები და საქმიანობა.

რუსეთის ფედერალური კანონის „მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის შესახებ“ მიხედვით, მცირე ბიზნესის სუბიექტად ითვლება აგრეთვე ის ფიზიკური პირი, რომელიც სამწარმეო საქმიანობას ეწევა იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე[7].

---

[7] კვლევითი დეპარტამენტი საქართველოს პარლამენტის აპარატი კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება

http://www.parliament.ge/files/437_1262_228785_437_1262_702572_mcirebiznesi[1].pdf}

საქართველოში. საქართველოში მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრამ, 1990-იანი წლებიდან შეიძლება ითქვა უამრავლი ქარტეხილი გამოიარა.

ცხრილში მოცემულია 2017 წლამდე არსებული მეთოდოლოგიით (შემდგომში არსებული მეთოდოლოგიით) საწარმოთა სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები ბიზნეს ფორმების მიხედვთ საქართველოში.

ცხრილი: საწარმოთა ზომების განსაზღვრა არსებული მეთოდოლოგიით.

საწარმოს ზომა	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	ბრუნვა (მლნ ლარი)
მსხვილი	>100	1,5
საშუალო	20 - 100	0,5 – 1,5
მცირე	<20	<0,5
მიკრო	=1	<0,03

წყარო: *gtodradze@geostat.gewww.geostat.ge*

დღეს მცირე და საშუალო საწარმოთა სიდიდე ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობითა და წლიური ბრუნვის მოცულობით განისაზღვრება.

მათი ზღვრული სიდიდეები 2017 წლიდან ახალი მეთოდოლოგიით ასეთია: მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ -სამართლებ რივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლდან 60 მლნ ლმდე.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი

ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარს. საქართველოში ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შედარებით სრული ანალიზი მოცემულია მეორე თავის მეორე პარაგრაფში.

ირლანდია. ქვეყანა, რომელიც ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდთ ყველაზე ახლოსაა საქართველოსთან, როგორია ბიზნეს ფორმებთან საწარმოთა მიკუთვნების კრიტერიუმები მოცემულია ცხრილში და მთლიანად ემთხვევა ევროსტატს.

მცირე საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 50 კაცს, ბრუნვა ნაკლებია ან ტოლია 10 მილიონი ევროსი.

ირლანდია

საწარმოს ზომა	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	ბრუნვა (მლნ ევრო)	ან აქტივები (მლნ ევრო)
მსხვილი	>250	> 50	> 43
საშუალო	<250	≤ 50	≤ 43
მცირე	< 50	≤ 10	≤ 10
მიკრო	<10	≤ 2	≤ 2

წყარო: *gtodradze@geostat.gewww.geostat.ge*

მიკროს განეკუთვნება საწარმოები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა ნაკლებია 10 კაცზე. ბრუნვა და აქტივობა, შესაბამისად, ნაკლებია ან ტოლი 2 მილიონი ევროსი.

მეზობელი ქვეყნებიდან საინტერესოა აზერბაიჯანსა და თურქეთში სტატუსის მინიჭების მეთოდოლოგია.

აზერბაიჯანში სტატუსის მინიჭება საწარმოზე მოცემულია ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, აზერბაიჯანში კრიტერიუმების სიდიდე განსაზღვრულია სფეროების მიხედვით: მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება; მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა ნაკლებია 50 კაცზე და წლიური ბრუნვა უდრის 500 ათას მანეთს; სოფლის მეურნეობაში- დასაქმებულთა რაოდენობა ნაკლებია 25 კაცზე და წლიური ბრუნვა უდრის 250 ათას მანეთს; საბითუმო ვაჭრობაში დასაქმებულთა რაოდენობა ნაკლებია 15 კაცზე და წლიური ბრუნვა უდრის 1 მილიონ მანეთს;

აზერბაიჯანი

საწარმოთა ზომები განსხვავდება სფეროების მიხედვით

საქმიანობის სახე	დასაქმებულთა რაოდენობა	წლიური ბრუნვა (მანათი)	ზომა
მრეწველობა, მშენებლობა	50-ზე წაკლები	500 ათასი	მცირე და საშუალო
სოფლის მეურნეობა	25-ზე წაკლები	250 ათასი	მცირე და საშუალო
საბითუმო ვაჭრობა	15-ზე წაკლები	1 მილიონი	მცირე და საშუალო
ეკონომიკის სხვა დარგები	10-ზე წაკლები	250 ათასი	მცირე და საშუალო

წყარო: *gtodradze@geostat.gewww.geostat.ge*

როგორც ჩანს აზერბაიჯანში კრიტერიუმების განსაზღვრის სრულიად განსხვავებულ მიდგომასთან გვაქვს საქმე.

თურქეთი, ჩვენი მეზობელი ქვეყანა აქაც როგორც აზერბაიჯანში კრიტერიუმების განსაზღვრა ევროსტატისგან განსხვავებული მიდგომით ხდება.როგორც ჩანს კრიტერიუმებად არჩეულია მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობა. გრაფიკებიდან ჩანს მხოლოდ ის, რომ მსხვილს მიეკუთვნება ის საწარმო, სადაც დასაქმებული 250 კაცზე მეტი (250+).

თურქეთი



წყარო: *gtodradze@geostat.gewww.geostat.ge*

დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით საწარმოების დაჯგუფება წააგავს აშშ-ს მეთოდოლოგიას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი მცირე ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელი საერთო(საყოველთაო) მახასიათებლების შემოტანის

შესახებ, მათი სტატისტიკური სიდიდის საყოველთაობის მოთხოვნის გარეშე. როგორც ჩანს ჯერ არ არის სახელმწიფოები შეჯერებული იმაზე, რომ ყველა ქვეყნისთვის მცირე ბიზნესის სტატუსის განმსაზღვრელი მახასიათებლები იყოს ერთი და იგივე. სავალდებულო არ არის მათი სტატისტიკური სიდიდის ტოლობა რადგან ის დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე მის სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, კულტურაზე. თუმცა მსოფლიო მაშტაბით გამოკვეთილია ის რომ ყველა ქვეყანაში მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრისას ყველგან ფიგურირებს "დასაქმებულთა რაოდენობა". მცირე ბიზნესისადმი საწარმოთა მიკუთვნების კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეების გადამოწმება უნდა ხდებოდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად. იგი შეიძლება მოიცავდეს 5 – 10 წლიან ინტერვალს.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის განვითარების რეალური სურათის დანახვა აუცილებლად მოითხოვს ქვეყანაში შესა¬ბამისი სტატისტიკური მონაცემების არსებობას და ამ მიმართულებით ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. სასურველია ცალკე გამოსცემდეს სტატისტიკის დეპარტამენტი ბიზნეს სექტორზე სტატისტიკურ კრებულს.

თავი 2 საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების და სახელმწიფო მხარდაჭერის არსებული მდგომარეობის ანალიზი

2.1 მცირე ბიზნესის მხარდაჭერა განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში

მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებულ ქვეყნებში ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ: ადგენენ და ახორციელებენ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამებს და უწესებენ მათ მნიშვნელოვან შეღავათებს, მათი განვითარების ძირითადი ქმედებები დარეგულირებულია კანონებით. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს. ამ ქვეყნებში მშპ–ს 50–70%–ს მცირე და საშუალო კომპანიები აწარმოებენ.

პრაქტიკულად, ყველა განვითარებულ ქვეყანაში მცირე საწარმოების სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები ასახულია (თავმოყრილია) სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში: ,,წვრილი ბიზნესის შესახებ აქტი“ (აშშ); ,,ძირითადი კანონი მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ“ (იაპონიაში); ,,მცირე ბიზნესის ქარტია“ და ,,მცირე ბიზნესის აქტი“–ში (ევროკავშირში), ,,კარტელური უფლება“ (გერმანია) და ა.შ.

ევროპის სახელმწიფოებში სამრეწველო გადატრიალების შემდეგ, ამ სექტორისს ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, განუხრელად იზრდებოდა მისი მნიშვნელობა. მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენდნენ საწარმოთა რიცხოვნობის 98,7%–ს, საფრანგეთში 99,3%–ს, შვეიცარიაში 99,1%–ს, ავსტრიაში 99,7%–ს. შედარებით მოკრძალებული იყო ამ სექტორის ხვედრითი წილი დასაქმებაში (50–55%).[8]

[8] Калинин А., Анализ развития и состояние малого и среднего бизнеса в мире.журн. «Экономика, предпринимательство и право». №4, 2011

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოცეული ქვეყნის დარგობრივი სპეციფიკა და ეკონომიკური მექანიზმები. ამიტომ, როცა მივმართავთ ციფრობრივი მაჩვენებლებით ოპერირებას და განვითარებული ქვეყნების შედარებას ქართულ რეალობასთან, აუცილებელია ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული განსხვავებების, ასევე ეროვნული მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გათვალისწინება. [9]

სწორედ ეროვნული განსაკუთრებულობები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მცირე ბიზნესის ჩართულობის შესაძლებლობაში რეალური სექტორის საწარმოო პროცესებში. მნიშვნელოვანია ისეთი ლიბერალური სახელმწიფოს მხრიდან, როგორც აშშ–ს მცირე და საშუალო საწარმოთა სახელმწიფომ მხარდაჭერის საკითხები.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პრინციპები აშშ–ში ჩამოყალიბდა დიდი დეპრესიის (1929–1932წწ.) და მეორე მსოფლიო ომის დროს. 1932 წელს მცირე ბიზნესისათვის შემუშავებულ იქნა სესხების გაცემის ფედერალური პროგრამა. აღნიშნული მოვლენა გაგრძელდა 1942 წელს როდესაც სახელმწიფოს დონეზე კვლავ დაიწყო მცირე ბიზნესის სტიმულირება ფინანსური მექანიზმების გამოყენებით. 1953 წელს კონგრესმა (პარლამენტმა) მიიღო მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ფედერალური კანონი (The Small Business Act of July 30,1953), რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფოს პრიორიტეტები მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის და დაცვის საქმეში. ამ კანონის თანახმად ჩამოყალიბდა აშშ მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (The U.S. Small Business Administration – SBA). მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია თავისი სამართლებრივი სტატუსით აშშ მთავრობის ფედერალური სააგენტოა. მცირე ბიზნესის ინტერესების სამართლებრივი დაცვის მიზნით შექმნილია ადვოკატურის განყოფილება (Office of Advocacy), რომლის თანხმობის გარეშეც არ მიიღება არც ერთი სამართლებრივი ნორმა მცირე

[9]მექვაბიშვილი ე. „მცირე და საშუალო მეწარმოების განვითარება, როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა“

საწარმოების მდგომარეობის შესახებ. ფაქტობრივად, აღნიშნული სამსახური მცირე მეწარმეების ინტერესებს აწარმოადგენს სასამართლოში და კონგრესში, რომელიც სამართლებრივი ზეწოლისაგან იცავს მათ. ბიზნეს ინსტიტუტი ინტერნეტში (E Business Institute) სააგენტოს საქმიანობის ერთ–ერთი სფეროა. საინფორმაციო რესურსები და კონსულტაციები ხელმისაწვდომია ყველა მსურველისათვის და მას აქტიურად იყენებენ არა მარტო დამწყები მეწარმეები, არამედ მათი უფრო გამოცდილი კოლეგებიც. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ვებ გვერდზე, განთავსებულია ინფორმაცია კვლევების შედეგების, მიმდინარე და სამომავლო პროექტების შესახებ. აღსანიშნავია ექსპორტის ხელშეწყობის ცენტრები, რომლებიც ვაჭრობის სამინისტროს დახმარებით შეიქმნა, აღნიშნული ცენტრები არჩევენ ექსპორტზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსებულთა კანდიდატურებს, ასევე აწარმოებენ მცირე ბიზნესის საგარეო ვაჭრობის დაკრედიტებას. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის საქმიანობას ფედერალური მთავრობა აფინანსებს. მისი ბიუჯეტი 2004 წლისათვის 12,3 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ამ თანხის დაახლოებით 72% მცირე ბიზნესის განვითარების ტრადიციულ და წლების განმავლობაში აპრობირებული პროგრამების დაკრედიტებაზე დაიხარჯა, მაგალითად, “7ა“ პროგრამა, საწარმოების მოდერნიზაციის პროგრამა (“504”) ფინანსდება მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის ბიუჯეტის 19,6%–ით და ამ ხარჯების ძირითადი ნაწილი მიემართება არა მომსახურებაზე, არამედ დანადგარების შეძენაზე, დაბალ ფასებში მშენებლობების წარმოებაზე და ა.შ. ბიუჯეტის 7,2% მიემართება იმ მცირე საწარმოების დაფინანსებაზე, რომლებიც დამდენიმე კომპანიის ერთობლივი ინვესტიციებით იქმნება. მიკროკრედიტებზე, რომელიც ხშირად არამომგებიანია, ბიუჯეტის 0,5% იხარჯება. აშშ–ს მთავრობა მსოფლიოში საქონლისა და მომსახურების მსხვილესი მომხმარებელია. მაგრამ კანონმდებლობის თანახმად, ამ ხარჯების საკმაოდ დიდი ნაწილი, ანუ სახელმწიფო კონტრაქტების 23%, მცირე საწარმოებში უნდა იქნას განთავსებული. სტატისტიკა მცირე ბიზნესის

ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ აჩვენებს, რომ სააგენტოს კლიენტების 85% ერთი წლის შემდეგ კოტრდება, მაგრამ, მეორე მხრივ, სტატისტიკა ასევე ადასტურებს, რომ ,,გადარჩენილთა" წარმატებები მრავალჯერ ფარავს ყველა დანახარჯს. აშშ–ში მცირე ბიზნესი ეკონომიკისათვის ახალი სამუშაო ადგილების 75%–ზე მეტს უზრუნველყოფს, მათში ჭარბობს ახალგაზრდათა და ხანდაზმულთა რიცხვი, რაც კიდებ ერთხელ უსვამს ხაზს მცირე ბიზნესის სოციალურ მნიშვნელობას. დღეს მცირე ბიზნესი აშშ–ში მთლიანი ეროვნული პროდუქტის 40,9%–ს უზრუნველყოფს, ეს 22,9 მლნ საწარმოა და ექსპორტიორი ფირმების 97%.[10]

აშშ–ში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიო ფინანსური კრიზისის პირობებშიც კი მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, 2010 წლის სექტემბერში აშშ–ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს ,, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის შესახებ". აშშ–ის შრომის დეპარტამენტის მონაცემებით ქვეყანაში ყოველწლიურად 800 ათასზე მეტი ბიზნესი იქმნება. ისეთი დიდი და კარგად ცნობილი ბიზნესების გვერდით, როგორიცაა Coca-Cola და IBM-ის კომპანიები, უამრავი მათზე შედარებით მცირე ბიზნესი ყალიბდება, რომლებიც გვთავაზობენ როგორ დასაქმების შესაძლებლობებს, ასევე სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.[11]

მცირე ბიზნესის მხარდაჭერა გაერთიანებულ სამეფოში. მცირე ბიზნესის განვითარებას კოორდინაციას უწევს ,,მცირე ბიზნესის სამსახური", რომელიც გაერთიანებული სამეფოს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს სპეციალიზირებული სააგენტოა. ქვეყანაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ცენტრალიზირებული სახელმწიფო პროგრამა მოქმედებს. მცირე ბიზნესის

[10] კვლევითი დეპარტამენტი საქართველოში პარლამენტის აპარატი კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფისგანყოფილება.
http://www.parliament.ge/files/437_1262_228785_437_1262_702572_mcirebiznesi%5b1%5d.pdf

[11] Калинин А., Анализ развития и состояние малого и среднего бизнеса в мире.журн. «Экономика, предпринимательство и право». №4, 2011

მხარდამჭერი ღონისძიებები ყოველწლიურად გათვალისწინებულია ქვეყნის ბიუჯეტში. მის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- მცირე და საშალო საწარმოებისათვის ფინანსების მოძიების გაუმჯობესება;
- საგადასახადო და ადმინისტრაციული ბარიერების გამარტივება;
- საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურების გაწევა.

ამასთანავე, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა გულისხმობს მცირე ბიზნესის დახმარების პროგრამების ფუნქციონირებას, რომელიც შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

- ახალი და მოქმედი ფირმების საკონსულტაციო პროგრამები;
- ფინანსური დახმარების პროგრამები;
- მცირე საწარმოების საექსპორტო საქმიანობის წახალისების პროგრამები;
- მცირე საწარმოების დახმარების რეგიონული პროგრამები.

გადასახადები და მცირე ბიზნესი გაერთიანებულ სამეფოში. მცირე საწარმოების სახსრები, რომლების მიმართულია საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, განთავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან, ხოლო სამეცნიერო კვლევით და საკონსტრუქციო–საცდელ სამუშაოებზე მიმართული სახსრები ნაწილობრივ თავისუფლდება დამატებითი ღირებულებისა და ქონების გადასახადისაგან. ის საწარმოები, რომელთა ბრუნვა არ აღემატება 56 ათას ფუნტ სტერლინგს, საერთოდ არ რეგისტრირდებიან დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელებად. ამასთანავე, გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი მოგების გადასახადის პროგრესული ნიხრები ყველაზე მისაღებია მცირე საწარმოებისათვის. მცირე ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა გაერთიანებულ სამეფოში მცირე საწარმოებისათვის მოქმედებს კრედიტების დაზღვევის პროგრამა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ,,მცირე ბიზნესის სამსახური“ კომერციულ ბანკს აძლევს მის მიერ გაცემული კრედიტის 75%–ის დაბრუნების გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ მცირე საწარმო გადახდის უუნარო შეიქმნება. გარდა ამისა, სესხის კონკრეტული პირობების განსაზღვრა კომერციული ბანკის პრეროგატივად რჩება,

სახელმწიფო უწყება მხოლოდ გადაწყვეტილებას იღებს მასზე გარანტიის გაცემის თაობაზე. ამ მიზნებისათვის ქვეყნის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 50 მლნ–მდე ფუნტი სტერლინგი გამოიყოფა. მცირე საწარმოებს ბიუჯეტიდან შეუძლიათ სპეციალური გრანტების მოპოვება, მაგრამ ამგვარი სახის მხარდაჭერა შერჩევით ხასიათს ატარებს. სახელმწიფო მხოლოდ პრიორიტეტულ პროექტებს უჭერს მხარს. მცირე საწარმოებს გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა (ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიხედვით) ევროკავშირის პროგრამების ფარგლებშიც შეუძლიათ მოიპოვონ. მცირე ბიზნესის ოპერატიული საქმიანობის მხარდაჭერა გაერთიანებულ სამეფოში საწარმოებზე კონტროლის ისეთი სისტემა მოქმედებს, რომ ბიზნესის ორგანიზება და გამოყენება არაკანონიერი საქმიანობისათვის (თაღლითობა, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და სხვა) პრაქტიკულად შეუძლებელია. აღიშნული სისტემა საწარმოს საქმიანობისა და ორგანიზების მრავალ ეტაპზე მოქმედებს: ანგარიშის გახსნიდან დაწყებული, საგადასახადო და საფინანსო ანგარიშგებით დამთავრებული. ცალკეული პროგრამების ფარგლებში ახალშექმნილი ფირმებისთვის იზღუდება საკრედიტო რესურსებით სარგებლობა. ასე მაგალითად, საწარმოს, რომელსაც 2 წელზე ნაკლები მუშაობის გამოცდილება აქვს, არ ეძლევა სახელმწიფო გარანტია იმ სესხზე, რომლის მოცულობაც 100 ათას ფუნტ სტერლინგს აღემატება. მეწარმეების კვალიფიკაციის ამაღლება გაერთიანებული სამეფოს მრავალ უნივერსიტეტში, რეგიონალურ სასწავლო ცენტრებში და კერძო საკონსულტაციო ფირმებში მოქმედებს მცირე ბიზნესის კურსები, 6–10 კვირიანი სწავლებით. აღნიშნული კურსები მთავრობის დაფინანსებითა და მხარდაჭერით ფუნქციონირებს.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერა გერმანიაში. სახელმწიფო არ იცავს ცუდად მომუშავე საწარმოებს კონკურენტებისაგან. სახელმწიფო მცირე საწარმოებს უადვილებს ახალ ტექნოლოგიებზე და კაპიტალზე გასვლას. მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ფედერალურ დონეზე განიხილება, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გადაეცემა ქვედა ადმინისტრაციულ სტრუქტურებს (ქალაქებს,

ოლქებს). საკითხის ყურადღებით შესწავლის შემდეგ, სპეციალიზირებული კვლევითი ცენტრების რეკომენდაციების გათვალისწინებით, მიიღება საკანონმდებლო გადაწყვეტილება. ფუნქციების დიდი ნაწილი გადაცემული აქვს სპეციალიზირებულ ბანკებს. საბანკო ჯგუფი Kreditbanken fur Wiederaufbau (KfW) უმსხვილესია მათ შორის. მის მიერ დაფინანსებული პროგრამები სხვადსხვაა, მისი მუშაობის შედეგები და ინფორმაცია კი უახლოესი გეგმების შესახებ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. სპეციალიზირებულ ჟურნალებში რეგულარულად ქვეყნდება მცირე ბიზნესში განხორციელებული ინვესტიციების ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი. 2003 წელს fW ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა სპეციალიზირებული მცირე და საშუალო ბიზნესის ბანკი, რომლის მიზანია მცირე საწარმოების უფრო მძლავრი მხარდაჭერა. კრედიტების გაცემის პროცედურა ერთნაირია ყველასთვის, მხოლოდ საწარმოს გადახდისუნარიანობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას კრედიტის მირებისათვის. ბანკის პირდაპირი დახმარება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

1. სახელმწიფო საინვესტიციო სუბსიდიების, როგორც წესი, უსასყიდლოდ გაცემა. ისინის საინვესტიციო დაფინანსების მხოლოდ მცირე ნაწილს ფარავენ.

2. შეღავათიანი კრედიტები გამოიყენება ფედერალურ და რეგიონულ დონეზე საბანკო კრედიტების გარანტიებისა და საინვესტიციო კომპანიების წილობრივი მონაწილეობით– დაკრედიტების ხანგრძლივობა, როგორც წესი 10 წელს შეადგენს, რომელსაც საწარმოს გადასახადებით 2 წლიანი განთავისუფლება ემატება. კრედიტის დაბრუნება ადრეც შეიძლება. შეღავათიანი კრედიტის წილი, როგორც წესი, 50%–ს შეადგენს და დამოკიდებულია პროექტის მიზნებზე.

3. ადგილობრივი პროგრამების დაკრედიტება უფრო შეღავათანი პირობებით ხორციელდება, ვიდრე KfW განაკვეთები, დოტაციები კრედიტის 3–10%–ს შეადგენს.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები გერმანიაში სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ 500–ზე მეტი ფედერალური და რეგიონული მნიშვნელობის პროგრამა ხორციელდება.

- დამწყები მეწარმეებისთვის. სპეციალური შეღავათიანი კრედიტი, რომლის მაქსიმალური ოდენობა 1 მილიონს აღწევს (პროექტის ღირებულების არაუმეტეს 50%), ხოლო წლიური განაკვეთი 5%–ს. ასეთი კრედიტის მაქსიმალური ვადა 20 წელია. ამასთან ინვესტიციების 40%–მდე მიღება გარანტიის გარეშეა შესაძლებელი, პირველი ორი წელი განთავისუფლებულია პროცენტებისაგან, ხოლო კრედიტის დაბრუნება იწყება მე–11 წლიდან. ამგვარი სახის დაკრედიტებაზე რისკსს სახელმწიფო იღებს.
- საწარმოს განვითარება. KfW პროგრამებში გამოირჩევა ის პროგრამები, რომლებიც საწარმოების შემდგომ განვითარებას, მათ რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ გადაიარაღებას უწყობს ხელს.
- რეგიონული პროგრამები. მიმართულია სხვადასხვა რაიონებს შორის ეკონომიკური განვითარების უთანასწორობის აღმოფხვრისაკენ და აღმოსავლური მიწების ეკონომიკის განვითარებისაკენ.
- ეკოლოგიური პროგრამები. ამ პროგრამებით აქტიური მხარდაჭერა ეწევა იმ საწარმოებს, რომლებიც ხელს უწყობენ გარემოს დაცვით სამუშაოებს; წახალისდება ეკოლოგიურად სუფთა წარმოება.
- ინვესტიციები საზღვარგარეთ და ექსპორტში. დახმარებას უწევს საწარმოებს, რომლებიც თავიანთი საქონლისა და მომსახურების ექსპორტს აწარმოებენ, ასევე იმ ფირმებს, რომლებიც საზღვარგარეთ ეწევიან თავიანთ საქმიანობას.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერა საფრანგეთში. საფრანგეთშ მცირე ბიზნესის მხარდაჭერის საკითხებით სპეციალური სამინისტროა დაკავებული. მთავრობის და სამინისტროს სპეციალისტების მიერ მცირე და საშუალო საწარმოების დასახმარებლად მზადდება სპეციალური პროგრამები, ასევე იქმება პროგრამები

წარმოების სტიმულირების და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით. 2003 წლის დასაწყისში პარლამენტმა განიხილა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალური პროგრამა, რომელიც შემდეგ მიმართულებებს ითვალისწინებს:

1. ყოველწლიურად 200 ათასი ახალი საწარმოს შექმნა. ამ მიზნით სახელმწიფო ამარტივებს საწარმოების შექმნის პროცედურებს და ქმნის შესაბამის ინფრასტრუქტურას მათი მუშაობისათვის. სახელმწიფო აძლევს 6 თვიან კვლევითი დეპარტამენტი 21 შემწეობას იმ უმუშევრთათვის, ვისაც სურვილი აქვს თავისი საქმე წამოიწყოს.

2. არსებული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება, კერძოდ, მათი ინტენსიური დაფინანსება. მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებით 50–მდე ორგანიზაციაა დაკავებული, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

- კრედიტების გარანტიების ეროვნული ფონდი;
- რეგიონალური განვითარების საზოგადოება;
- მრეწველობის განვითარების ინსტიტუტი;
- სიახლეების დაფინანსების კომპანია.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 1996 წლიდან საფრანგეთში მოქმედებს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ბანკი, რომელსაც საკუთრების შერეული ფორმა აქვს, ანუ, ერთი მხრით, ეკუთვნის სახელმწიფოს, ხოლო, მეორე მხრით, ნახევრად სახელმწიფოებრივ დეპოზიტებისა და აქტივების მართვის სალაროს. ბანკი მცირე და საშუალო საწარმოებზე გასცემს უპროცენტო სესხებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში სუბსიდიებსაც 30 ათასის ფარგლებში.

3. საგადასახადო შეღავათები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკრედიტო სახსრებზე. 2003 წელს ძალაში შევიდა კანონი ,,ეკონომიკური ინიციატივების დახმარების შესახებ“, რომლის თანახმად, ანაბრის 25%

განთავისუფლებულია გადასახადისაგან დივიდენდზე, თუ ის მიმართულია საინვესტიციო ფონდებში.

4.მცირედასაშუალო საწარმოებისათვის კვალიფიცირებული მენეჯერების მომზადება ევროკავშირის ქვეყნებში, ლისაბონის სამიტიდან (2000) დაწყებული განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე/ინოვაციურ ბიზნესს, ჯერ კიდევ 2000 წელს იქნა მიღებული მცირე ბიზნესისათვის. ,,მცირე საწარმოების ევროპული ქარტია“. სამოქმედო პროგრამა, ამის გაღრმავებისა და სრულყოფის მიზნით 2008 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა ახალი სამოქმედო პროგრამა, ,,ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტი“, რომელიც შედგება 10 ძირითადი პრინციპისაგან. მცირე ბიზნესის აქტში ჩამოყალიბებულია 10 პრინციპი ევროკომისიისა და ეროვნული მთავრობებისთვის, რომელიც მცირე საწარმეობის ევროპულ ქარტიას ეყრდნობა, მაგრამ ახალი ხედვის გათვალისწინებით. ეს იყო გადაწყვეტილება მცირე ბიზნესთან დაკავშირებული საინოვაციო სტრატეგიის წინა ფრონტზე გადაწევის შესახებ. ეს პრინციპებია:

1. შეიქმნას გარემო, რომელშიც მეწარმეები და საოჯახო ბიზნესი მკვეთრ განვითარებას შეძლებს, ხოლო მეწარმეობა წარმატებული და მომგებიანი იქნება;
2. უზრუნველყოფილ იქნას ხელახალი დაწყების შანსი იმ პატიოსანი მეწარმეებისთვის, რომლებმაც გაკოტრება განიცადეს;
3. მსს–თვის შემუშავდეს წესები ,,ჯერ მცირეზე იფიქრე“ პრინციპის შესაბამისად;
4. მიღებულ იქნას ზომები, რათა საჯარო ადმინისტრაციები მსს საჭიროებების მიმართ მგრძნობიარენი გახადოთ;
5. საჯარო პოლიტიკის ინსტრუმენტები მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებებს უნდა მიესადაგონ: უზრუნველყოფილ იქნას მსს მონაწილეობა საჯარო შესყიდვებში და მათ ინტერესებში უკეთ იქნას გამოყენებული სახელმწიფო დახმარება;

6. უზრუნველყოფილ იქნას მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსების მისაწვდომობა და განვითარებულ იქნას სამართველბრივი და საქმიანი გარემო, რომელიც კომერციული ოპერაციების პროცესში, მათთვის დროულად გადახდებს უზრუნველყობს;

7. დახმარება აღმოეჩინოს მსს ერთიანი ბაზრისაგან მეტი სარგებლის მიღებაში;

8. დახმარება გაეწიოს მსს ცოდნის ამაღლებასა და ყველა ფორმის ინოვაციაში;

9. საშუალება მიეცეთ მსს გარემოს დაცვითი გამოწვევები ბიზნეს–შესაძლებობებად აქციონ;

10. შეიქმნას პირობები მსს საერთაშორისო თანამშრომლებისთვის.

ზემოაღწერილილი მცირე ბიზნესის აქტი საკანონმდებლო დოკუმენტი არაა. ეს არის სამოქმედო გეგმა. თითოეული პრინციპის რეალიზაციისთვის შედგენილია გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი და მოთხოვნები ევროკომისიისა და უმთავრესად, ეროვნული მთავრობების მიმართ. 2010 წელს კი შემუშავდა მცირე ბიზნესის მხარდაჭერის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროპის მხარდაჭერის სამოქმედო პროგრამა (EaP). აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) არის ინიციატივა, რომელიც ქმნის ჩარჩოს ევროკავშირის ურთიერთობებისთვის სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელორუსთან, საქართველოსთან, მოლდოვასთან და უკრაინასთან, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ,,ევროპისთვის მცირე ბიზნესის აქტზე“ დაყრდნობით.

საქართველო. საქართველოში მცირე ბიზნესს აქცევენ ყურადღებას გასული საუკუნის 90–იანი წლებიდან, როცა ქვეყანაში პრივატიზების პროცესი დაიწყო საბჭოთა მცირე საწარმოებებით. ამით პირველი კერძო მესაკუთრეები საქართველოში მცირე მეწარმეები აღმოჩნდნენ. ამის შემდგომ მიღებულ იქნა კანონები, რომლებიც ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობას არეგულირებდნენ: მათგან შეიძლება აღინიშნოს კანონები: ,,საეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ (1991), ,, საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ (1991), ,,მეწარმეთა

შესახებ“ (1994) და მთავრობის დადგენილებები: ,,სახელმწიფო საწარმოთა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1992), ,,ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1993), საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება ,,საქართველოს რესპუბლიკაში მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ“ (1993) ,,შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და ა.შ.

1999 წელს მიღებულ იქნა კანონი ,,მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“. ეს იყო პირველი სერიოზული ნაბიჯი მცირე ბიზნესის მხარდაჭერისათვის. სხვა მნიშვნელოვან ქმედებებთან ერთად ამ კანონით განისაზღვრა მცირე ბიზნესის სტატუსი, რომელიც ადრე განისაზღვრებოდა სხვაგვარად. აღნიშნული კანონი მთავრობის ლიბერალური პოლიტიკის გამო ახალმა მთავრობამ 2006 წელს გააუქმა და განსაზღვრება მცირე ბიზნესის სტატუსისა გადაიტანა კანონში ,,ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“.

2011 წელს ახალი საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა მიკრო და მცირე ბიზესის სტატუსი. გადასახადისგან გათავისუფლდა მიკრო ბიზნესი, ხოლო მცირე ბიზნესს დაუწესდა საგადასახადო შეღავათები.

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის (EaP), ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდგომ აუცილებელი გახდა მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებით ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელება მიზნით საქართველოში მთავრობის მიერ ჩატარებული ქმედებების და ამით გამოწვეული შედეგების შესწავლა. ,,მცირე ბიზნესის ქარტია“ და ,,მცირე ბიზნესის აქტი“ (შემდგომ აქტი) ევროკავშირის და მისი პარტნიორი არაწევრი ქვეყნებისათვის წარმოადგენს არა კანონს არამედ სამოქმედო პროგრამას. აქ გაწერილი სამოქმედო გეგმის განხორციელებაში საქართველოს დიდ დახმარებას უწევს ევროკავშირი,

,,აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა“ (EaP), ეს უკანასკნელი იმავდროულად ატარებს აქტის მიხედვით გაწერილი სამუშაოების შესრულების შეფასებას.

,,მცირე ბიზნესის აქტი“–ა, EaP[12] და ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებიდან გამომდინარე საქართველოში, განსაკუთრებით 2014 წლიდან გაძლიერდა ქმედებები მცირე ბიზნესის ბიზნესგარემოს (ინფრასტრუქტურის) ფორმირებისა და განვითარებისათვის. ჩამოყალიბდა ინსტიტუტები:

2015 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნა სსიპ– ,,აწარმოე საქართველოში“, საქართველოს მთავრობის დადგენილებით[13]. პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს:

1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა;
2. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა;
3. ტექნიკური დახმარება.

ამ ინსტიტუტის ფარგლებში ფუნქციონირებს ორი პროგრამა: აწარმოე–ინვესტიციები და აწარმოე – ექსპორტი; მიკკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყტობის პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში“, გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით. აღნიშნული პროგრამა გამიზნულია, როგორც ახალი ბიზნესის წამოწყებისათვის, ასევე არსებულის გაფართოება/გადაიარაღებისთვის.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა ხელს უწყობს რეგიონული მოსახლეობის გააქტიურებას წამოიწყონ ან გააფართოვონ საკუთარი ბიზნესი. ფინანსური დახმარების გაწევის გზით რეგიონის მაცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის

---

[12]აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა (EaP) 2008 წელს შეიქმნა და მიზნად 6 პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ბელარუსის ევროინტეგრაციის ხელშეწყობას ისახავს.

[13]საქართველოს მთავრობის დადგენილება №365, 2014 წლის 30 მაისი. „აწარმოესაქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

2015–2018 წლის მონაცემებით, სააგენტოს ,,აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, მხარდაჭერილია 5 313 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 50 მლნ ლარამდე, ამასთანავე თანადაფინანსების სახით გაიცა 22 949 474 ლარი, სადაც გვყავს 8 412 ბენეფიციარი.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკივა ,,საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016–2020“. სტრატეგია ეფუძნება ,,ევროპული მცირე ბიზნესის აქტს“ და მის ძირითად პრინციპს ,,უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First)[14]. იგი შეიცავს 5 სტრატეგიულ მიმართულებას:

1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;
4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;
5. ინოვაციები, კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

2016 წლის ივნისიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩერული საინვესტიციო პროგრამა – ,,სტარტაპ საქართველო“. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცესების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას. ამჟამას პროექტის კოორდინატორები არიან

[14]საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, თბ. 2016 გვ 5

,,საპარტნიორო ფონდი“ და ,,საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“

EU4BUSINESS ევროკავშირის ინიციატივაა, რომელიც დახმარებას უწევს SME–ებს აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონს ექვს ქვეყანაში მათი სრული პოტენციალის რეალიზაციისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით. ის არის საკრედიტო ხაზი, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშესაწყობად არის განკუთვნილი. ძირითადი აქცენტი საქართველოში წარმოებული პროდუქტის ევროსტანდარტების შესაბამისობაში მოყვანაზე კეთდება. EU4BUSINESS-EBRD Credit Line. ა ხაზით საქართველოში ევროკავშირიდან, გრანტის სახით დაახლოებით 50 მლნ ევროს შემოდინება ხდება, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო (S&M) ზომის ბიზნესების ფინანსურ და ტექნიკურ გაძლიერებაზე. თითოეული პროექტისთვის საგრანტო მხარდაჭერა 10–15% მერყეობს, ხოლო მაქსიმალური სესხის ოდენობა 3 მლნ ევროა. ამ ეტაპზე ამ პროექტის ფინანსურ პარტნიორად საქართველოს ბანკი სახელდება, რომელიც პოტენციურ ბენეფიციარებს ორწლიან საშეღავათო პერიოდს სთავაზობს ძირ თანხაზე და ბიზნეს სესხის ნომინალური განაკვეთი 10–12%–ია. გვინდა შევნიშნოთ, რომ სესხებზე განაკვეთი 10–12% მცირე ბიზნესზე ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში მაღალია.

საქართველოს მიმდინარე ეტაპზე განხორციელებული საკრედიტო–საგრანტო რეფორმა გულისხმობს, რომ კომერციულ ბანკს აღარ აქვს უფლება გასცეს სესხი გარანტიის გარეშე. ეს ნაბიჯი, შეიძლება ჩაითვალოს, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემაფერხებენ ფაქტორად, რადგან დღეს საქართველოში არ არის დადგენილი მცირე ბიზნესის სესხის გაცემის საგარანტიო თავდებობის სრულყოფილი ინსტიტუტი (პრაქტიკა). ამასთან, საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ არარის ჩამოყალიბებული მცირე ბიზნესისათვის ფინანსებზე წვდომა სრულყოფილი მექანიზმი.

2016 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა მცირე ბიზნესის აქტის განხორციელების შეფასების ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი, ინდექსის თანახმად, 2016 წლის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური და საოპერაციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, საქართველოს რეგიონში საუკეთესოა. თუმცა მცირე ბიზნესის განვითარების კუთხით საუკეთესობამდე შორს ვართ.

2.2 მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტივები საქართველოში

უმუშევრობის პრობლემის ერთ–ერთ მარეგულირებელ მექანიზმად განვითარებულ ქვეყნებში აღიარებულია მცირე ბიზნესი, მის წილად დასაქმებულთა 70–80% მოდის. ამდენად, საქართველოში აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში დიდი როლი უნდა ითამაშოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებამ და ქვეყნის ეკონომიკაში მისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრებამ.

მცირე ბიზნესის ფორმირება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში პრივატიზების პროცესით დაიწყო. ქვეყანა ინტენსიური პრივატიზაციის პერიოდად აღიარებულია 1991–1998 წლები. საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირებას განსაკუთრებულად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის პროცესი პირველად საბჭოური მცირე საწარმოებით დაიწყო. მხოლოდ 1993 წელს პრივატიზებული საწარმოების საერთო რაოდენობიდან მცირე იყო – 98,4%. სულ 1993–2000 წლებში პრივატიზებულ საწარმოთა საერთო რიცხვში მცირე საწარმოების ხვედრითმა წილმა 92,7% შეადგინა. ამ პერიოდში საქართველოში მიღებულ იქნა კანონები და მთავრობის დადგენილებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ქვეყანაში კერძო სექტორის ჩამოყალიბებას, მათგან შეიძლება აღინიშნოს კანონში: ,,სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ (1991), ,,საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო

საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ (1991), ,,მეწარმეთა შესახებ“ (1994) და მთავრობის დადგენილებები: ,,სახელმწიფო საწარმოთა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1992), ,, ფასიანი ქაღალდების შესახებ დროებითი დებულების დამტკიცების თაობაზე“ (1993), ,,შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ და ა.შ.

საქართველოში 1991 წელს მიღებული კანონით: ,,საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე დაიწყო სახელმწიფო ქონების პრივატიზება, საბჭოური მცირე საწარმოებით; პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც 1991 წლის ოქტომბერში ღია საჯარო ვაჭრობით – აუქციონით მოახდინა პრივატიზების პირველი აქტი, მაღაზია ,,გოლიათის“ პრივატიზებით. მცირე საწარმოთა მასობრივმა პრივატიზებამ 1995–1996 წლებში პიკს მიაღწია. სწორედ ამ წლებში ვლინდება მცირე ბიზნესის უნარი, ეკონომიკური კრიზისის დროს ხელი შეუწყო სოციალური და პოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარებას, მოსახლეობის დასაქმებას. 1995 წლის 1 მარტამდე ,,მეწარმეთა შესახებ“ კანონის (1994) შესაბამისად, კერძო სამართლებრივი წესით შექმნილი საწარმოები დაექვემდებარა ხელახალ რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე. რეგისტრირებული ერთობლივი საწარმოები კი გარდაიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად. აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის 11 აპრილს მიიღო დადგენილება (№196), რითაც უნდა უზრუნველყოფილიყო საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია. საწარმოთა ხელახალმა რეგისტრაციამ ხელი შეუწყო მათი საქმიანობის კანონდაქვემდებარებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელი შეუშალა მცირე ბიზნესის განვითარებას. 1999 წლამდე, სტატისტიკის სახემწიფო დეპარტამენტის მეთოდოლოგიით, მცირე საწარმოების კრიტერიუმად მიღებული იყო დასაქმებულთა რაოდენობა დარგობრივ ჭრილში. მცირე საწარმოს მიეკუთვნებოდა: მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბ-

მულობის საწაროები, სადაც დასაქმებულთა რიცხვით < 50 კაცზე; მშენებლობაში < 35; განათლების და სამეცნიერო პროფილის ორგანიზაციებში < 25 კაცზე (ე.ი. მცირედ ითვლებოდა ის საწარმოები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა < 50 კაცზე)

1999 წლის 23 ივლისს საქართველოში ძალაში შევიდა კანონი ,,მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ", რიმლის მიხედვით, მცირე საწარმოების შეფასების კრიტერიუმად, დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად, აღიარებულ იქნა საწარმოს წლიური ბრუნვის მაჩვენებელი, რომელთა სტატისტიკური სიდიდე დარგობრივ ჭრილში არ აღემატებოდა შემდეგ ზღვრულ ოდენობას: მრეწველობაში – 40 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს; მშენებლობაში – 20 დასაქმებულსა და 300 ათას ლარს; ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 20 დასაქმებულსა 200 ათას ლარს; სოფლის მეურნეობაში – 20 დასაქმებულსა და 150 ათას ლარს; საბითუმო და საცალო ვაჭრობაში – 10 დასაქმებულსა და 50 ათას ლარს; განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვასა და კულტურაში – 25 დასაქმებულსა და 60 ათას ლარს; სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას – 15 დასაქმებულსა და 100 ათას ლარს (ე.ი. ამ ჯერზე მცირე ბიზნესი განისაზღვრა ორი კრიტერიუმით – დასაქმებულთა რაოდენობით და წლიური ბრუნვით, რომელთა სტატისტიკური სიდიდეები განისაზღვრა 1–დან 40–მდე კაცით და 500 ათას ლარამდე წლიური ბრუნვით).

მცირე ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვანია 2002 წელი, როცა მიღებულ იქნა კანონი ,,მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ (2002 წლის 4 ივლისი, №1641– რს), რომლის მიხედვითაც ,,საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს

ა) მცირე საწარმოებისთვის – 20 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს;

ბ) საშუალო საწარმოებისათვის – 100 დასაქმებულსა და 1500 ლარს“. ხოლო კანონს ,,მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ ეწოდა კანონი ,,მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“. აღსანიშნავია, რომ როგორც მცირე, ისე საშუალო საწარმოთა სიდიდის განსაზღვრა დასაბუთებას მოკლებული იყო.

მცირე ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, ვარდების რევოლუციის შემდგომი პერიოდი მთავრობის სტრატეგიამ, ბიზნესის ყველა ფორმა ჩაეყენებინათ თანაბარ მდგომარეობაში, განაპირობა ის, რომ კანონი ,,მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“ (2002) გაუქმდა 2006 წლის ივლისს, ხოლო განსაზღვრებები მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ გადატანილ იქნა კანონში ,,საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“. ხელისუფლების მიერ დეკლარირდა ლიბერალური ეკონომიკური კურსი, რომლის თანახმად, ეკონომიკის ყველა სექტორი იმართება მხოლოდ თავისუფალი საბაზრო კანონებით, სახელმწიფო არც ერთ სექტორს არ ანიჭებს პრიორიტეტს და ყველა საწარმოსათვის დაბეგვრის ერთნაირ რეჟიმს აწესებს. გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის კურსის, თანაბარი საგადასახადო რეჟიმის პირობებში მცირე მეწარმეობამ ვერ გაუწია კონკურენცია მსხვილ ბიზნესს და მისი წილი ქვეყნის ბიზნესსექტორში თანდათანობით შემცირა. კიდევ ერთი ჩარევა მოხდა ბიზნესის განვითარებაში 2011[15] წლის ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით: მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაშ არ აღემატება 100 000 ლარს.

[15] ახალი საგადასახადო კოდექსი 2011

მიკრობიზნესი საქართველოში ბიზნესის ახალი ფორმაა. დღეისათვის არსებული ბიზნესფორმები ევროკავშირის ბიზნესფორმების (მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი) ადეკვატურია, თუმცა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით ამას ვერ ვიტყვით.

საგადასახადო კოდექსით [თავი XII] მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის და საგადასახადო შეღავადების შემოტანით, დღემდე მცირე ბიზნესის ფორმირება–განვითარების, ეკონომიკაში მისი ადგილის დამკვიდრების საქმეში არსებითი ცვლილებები არ მოუტანია. მცირე ბიზნესის წილი მშპ–ში , რომელიც იმ პერიოდში 7–8% ფარგლებში მერყეობდა, დიდად არ შეცვლილა. [16]

2014 წლის ბოლო პერიოდიდან საქართველოს მცირე ბიზნესის განვითარებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და გრძელდება დღემდე. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი პერიოდი დადგა. 2014 წლის 1 სექტემბერს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება წინასწარ ამოქმედდა. 18 დეკემბერს კი ევროპარლამენტმა დიდი უმრავლესობით უყარა კენჭი შეთანხმებას, რითაც დაადასტურა ასოცირების პროცესის მხარდაჭერა. მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის დანერგვა ევროკავშირის ერთ–ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს პარტნიორი ქვეყნების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ევროინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებადაა მიჩნეული, მცირე ბიზნესის ეროვნულ ეკონომიკაში თავისი ადგილის დამკვიდრებისათვის ევროკავშირის პოლიტიკის პრინციპები და ინსტრუმენტები ჯერ კიდევ არ არის დანერგილი. დღეს ქვეყანას უდიდესი შესაძლებლობა ეძლევა, ასოცირების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელებით მდგრადი გახადოს ეკონომიკის და მისი

[16] ე.კაკულია მცირე ბიზნესის ფორმირება–განვითარება საქართველოში; ჟ ეკონომისტი;2018. N 1 ; გვ 125-132.

პირველწყაროს მცირე ბიზნესის განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლიდან გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული, შემუშავდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016–2020 წლებისათვის, სტრატეგია ეფუძნება ,,ევროპული მცირე ბიზნესის აქტს“ და მის ძირითად პრინციპს ,,უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small FirstT)[17].

სტრატეგიის შესაბამისად დგება ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, რომლის მონიტორინგს და ანგარიშის გამოქვეყნებას ახდენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მასთან არსებული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო, 2016–2020 სტრატეგია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებებს ასახავს: მათ შორის არის მცირე და საშალო მეწარმეთათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისად; ინოვაციური მეწარმეობის წასახალისებლად კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება; ახალი ინსტრუმენტების შემუშავება ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით. ინოვაციური მეწარმეობის განვითარებისათვის უკვე განხორციელდა კონკრეტული მხარდამჭერი ღონისძიებები. სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ისევ მოხდა ცვლილებები მცირე ბიზნესის განვითარებაში 2017 წლის აპრილიდან საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგია შემუშავდა, რომლის მიხედვით: მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 60 მლნ ლარს.

საშალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა

[17]საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016–2020 წლებისთვის, თბ. 2016

მერყეობს 50–დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარს. 2018 წლიდან ყველა დაწესებულება გადავიდა ახალ მეთოდოლოგიაზე.

საკითხის შესწავლიდან ჩანს, რომ დღს 2019 წლის მონაცემების მიხედვით, ბოლომდე არ არის დახვეწილი და სრულყოფილი მცირე ბიზნესის სტატუსი; საწარმოთა ზომების განსაზღვრა ხდება ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით. ამასთან საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გვერდზე აღმასრულებ ელი დირექტორის მოადგილის მიერ განთავსებულია საინტერესო რიცხვითი მასალები, ყოველგვარი ანალიზის გარეშე. როგორც ამ მასალებიდან ჩანს (იხ. ცხ. 2.2.1)

საქართველოს კანონში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის (08.06.2016) შესახებ, მოცემულია საწარმოთა დაჯგუფება ოთხი კატეგორიის მიხედვით, კანონის მიხედვით კრიტერიუმად აღებულია: დასაქმებულთა რაოდენობა; შემოსავლები; აქტივების ღირებულება და კანონით განსაზღვრული მათი სტატისტიკური სიდიდეებიც(იხ. ცხ.2.2.1) ამ სამი კრიტერიუმიდან ორს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს საწარმო რომ მოხვდეს შესაბამის კატეგორიაში .

ცხრილი 2.2.1

საწარმოთა კატეგორიები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონიდან

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან აკმაყოფილებს სულ მცირე ორ კრიტერიუმს:

საწარმოს კატეგორია	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	შემოსავლები (მლნ ლარი)	აქტივების ღირებულება (მლნ ლარი)
პირველი კატეგორიის საწარმო	>250	>100	>50
მეორე კატეგორიის საწარმო	50-250	20-100	10-50
მესამე კატეგორიის საწარმო	10-49	2-20	1-10
მეოთხე კატეგორიის საწარმო	0-9	0-2	0-1

წყარო: *gtodradze@geostat.gewww.geostat.ge*

ცხრილი 2.2.2

საწარმოთა რაოდენობა ზომების მიხედვით 2015 წლის მონაცემების მიხედვით

მოქმედი მეთოდოლოგიით

საწარმოს ზომა	დასაქმების ინტერვალი (კაცი)	ბრუნვის ინტერვალი (მლნ ლარი)	რაოდენობა	წილი, %
სულ			**90403**	**100.0**
მსხვილი	> 100	>1,5	4224	4.7
საშუალო	20 - 100	0,5 – 1,5	7193	8,0
მცირე	<20	<0,5	78986	87.3

ევროსტატის მეთოდოლოგიით (მხოლოდ დასაქმებულთა რაოდენობით)

საწარმოს ზომა	დასაქმების ინტერვალი (კაცი)	რაოდენობა	წილი, %
სულ		**90403**	**100.0**
მსხვილი	> 249	254	0.3
საშუალო	49-250	1441	1.6
მცირე	10-50	7410	8.2
მიკრო	<10	81298	89.9

აუდიტის შესახებ კანონით (დასაქმებით და ბრუნვით)

საწარმოს ზომა	დასაქმების ინტერვალი (კაცი)	ბრუნვის ინტერვალი (მლნ ლარი)	რაოდენობა	წილი, %
სულ			**90403**	**100.0**
მსხვილი	> 249	>100	274	0.3
საშუალო	49-250	20-100	1509	1.7
მცირე	10-50	2-20	8094	9.0
მიკრო	<10	< 2	80526	89.1

წყარო: *gtodradze@geostat.gewww.geostat.ge*

მოქმედი, ახალი და ევროსტატ მეთოდოლოგიით ქვემოთ მოცემული ცხრილებიდან ნათლად ჩანს, როგორ განლაგდება საწარმოთა რაოდენობა, ბრუნვის მოცულობა, პროდუქციის გამოშვება და დასააქმებულთა რაოდენობა ზომების მიხედვით

როგორც ცხრილიდან ჩანს განაწილებისას ერთმანეთ ემთხვევა ევროსტატ მეთოდოლოგიით და ავდიტის კანონით განსაზღვრული განაწილება.

ცრილ 2.2.3 -ში მოცემულია ბრუნვის მოცულობის განაწილება ბიზნეს ფორმების (ზომების) მიხედვით, მოქმედი, ევროსტატის და ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ცხრილი 2.2.3

ბრუნვის მოცულობა ზომების მიხედვით(2015 წლის მონაცემებით)

მოქმედი მეთოდოლოგიით

	ბრუნვა, მლნ ლარი	წილი, %
სულ	**56984.8**	**100.0**
მსხვილი	47019.5	82.5
საშუალო	4792.4	8.4
მცირე	5173.0	9.1

ევროსტატის მეთოდოლოგიით (მხოლოდ დასაქმებით)

	ბრუნვა, მლნ ლარი	წილი, %
სულ	**56984.8**	**100.0**
მსხვილი	18927.0	33.2
საშუალო	13300.5	23.3
მცირე	13310.3	23.4
მიკრო	11447.1	20.1

ახალი მეთოდოლოგიით (დასაქმებით და ბრუნვით (PPPს გათვალისწინებით))

	ბრუნვა, მლნ ლარი	წილი, %
სულ	**56984.8**	**100.0**
მსხვილი	24671.6	43.3
საშუალო	13294.6	23.3
მცირე	19018.7	33.4

წყარო: *gtodradze@geostat.gewww.geostat.ge*

მოქმედ მეთოდოლოგიასთან მიმართებით ბრუვის მოცულობა ახალი მეთოდოლიგიით თითქმის 2-ჯრ შემცირდა მსხვილ ბიზნესში და თითქმის 3-ჯერ გაიზარდა საშუალო და მცირეში. ბრუნვის საერთო მოცულობის ცვლილების გარეშე(ბუნებრივია შესაკრებთა ადგილის გადანაცვლეით ჯამი არ იცვლება!) ახალი მეთოდოლოგიით ცხადია მცირე და არც საშუალო ბიზნესი არ განვითარებულა და არც რაოდნობრივად გაზრდილა. მხოლოდ მოხდა საწარმოთა გადამისამართება.

აუდიტის კანონით მეთოდოლოგია ანალოგიურია ევროსტატის მეთოდოლოგიის. სურათის ჩვენება თითქოს მცირეს წილი ყველგან(გამოშვებაში, ბრუნვაში, დასაქმებაში,...) გაიზარდა არ ნიშნავს რომ ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარების შედეგად მოხდა. ეს მხოლოდ მეთოდოლოგიის ცვლილებამ გამოიწვია.

ეგზოგენური ფაქტორები თუ რა გავლენას ახდენენ ბიზნესზე, მის სამივე ფორმაზე

ნათლად ჩანს გრაფიკი 2.2.1-დან. მდგრადობის მაღალი დონე, ეკონომიკაში მიმდინარე ნეგატური მოვლენების მიმართ როგორც ჩანს გამოიჩინა მცირე ბიზნესმა. კერძოდ,2008 წლისრუსეთ საქართველოს ერთკვირიანი ომის (ანუ ეგზოგენური(გარე) ფაქტორის) შედეგები როგორც ჩანს, მწვავედ უარყოფითად აისახა მსხვილ და საშუალო ბიზნესში, მსხვილ ბიზნესს მოგება საგრძნობლად შეუმცირდა ,ხოლო საშუალო ბიზნესმა ზარალით დაამთავრა. მაშინ როცა მცირე ბიზმესმა მოგება თითქმის 1.7-ჯერ გაზარდა.

გრაფიკი 2.2.1 ფინანსური შედეგები საწარმოთა ზომის მიხედვით (მოგება ზარალი) მლნ ლარი 2008 – 2011 წლებში



წყარო: საქატატი; სტატისტიკური წელიწდეული 2009; 2011; 2012.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, როგორც ცხრილი 2.2.6 -დან ჩანს (იხ, ცხრ2.2.6) 2012 წელს საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 42048. 0 მლნ. ლარი შეადგინა. ამასთან, მთლიანი ბრუნვის 83.0% მსხვილ ბიზნესზე მოდის; 7.7 % - საშუალო ბიზნესზე, მცირე ბიზნესის წილი კი 9.3%-ია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი – 57.1 %; საშუალო ბიზნესი – 13.8%; მცირე ბიზნესი – 29.1%. აქვე ნათლად ჩანს, პროდუქციის გამოშვების, განაწილების სურათი: მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესზე, იგი შესაბამისად შეადგენს: 82.3%; 7.5% ; და 10.2%. მცირე ბიზნესში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2015 წელს

მოქმედი მეთოდოლოგიით გათვლილი უდრიდა **2962,6** მლნ.ლარს, ახალი მეთოდოლოგიით გათვლილმა კი შეადგინა 2017 წელს **12892.9** მლნ.ლარი, თითქმის 4.5-ჯერ გაიზარდა. მისი წილი ბიზნეს სექტორში 2015 წელს მხოლოდ 9.9% თუ შეადგენდა, 2017 წელს 33.7 % შეადგინა. მონაცემების მიხედვით მცირე ბიზნესში

ცხრილი 2. 2.4 საწარმოთა ზომების მიხედვით: ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმება, შრომის ანაზღაურება, შრომის მწარმოებლურობა (20012-2016)

წლები		2012	%	2013	%	2014	%	2015	%	2017	%
ბრუნვა	სულ	42048,8	100	44327.9	100	50064,7	100	56984,8	100	71740.1	100
(მლნ	მსხვილი	34913,1	83	36240,3	82	41026,2	82	470195	83	32201.1	44.9
ლარი)	საშუალო	3223,6	7,7	4295,6	9,7	4378,0	8,7	4792,4	8,4	16568.3	23.1
	მცირე	39053	9,3	3792,1	8,6	4660,6	9,3	5173,0	9	22970.7	32.0
პროდუქციის	სულ	23096,0	100	23553,6	100	26068,6	100	29993,9	100	38206.8	100
გამოშვება	მსხვილი	19002,5	82,3	19031,0	80,8	20901,8	80,2	24107,5	80,4	15594.7	40.8
(მლნ	საშუალო	1740,2	7,5	2242,3	9,5	2489,0	9,5	2923,8	9,7	9719.2	25.4
ლარი)	მცირე	2353,3	10,2	2280,3	9,7	2677,8	10,3	2962,6	9,9	12892.9	33.7
დასაქმება	სულ	534397	100	550885	100	592147	100	626739	100	708165	100
(კაცი)	მსხვილი	305340	57,1	315447	57,3	332731	56,2	356543	56,9	233589	33.0
	საშუალო	73661	13,8	97090	17,6	90937	15,4	100843	16,1	145463	20.5
	მცირე	155396	29,1	138348	25,1	168480	28,4	169353	27	329112	46.5
შრომის	სულ	714,3	----	760,1	----	800,5	----	896,8	----	1019.7	---
საშუალო თვიური	მსხვილი	928,1	----	969,6	----	1029,5	----	1120,8	----	1195.9	---

ანაზღაურ	საშუალო	528,1	----	565,8	----	636,9	----	650,3	----	1196.9	---
ება(მლნლ	მცირე	338,1	----	372,2	----	375,2	----	443,3	----	776.1	----
შრომის	სულ	43219	----	42756	----	44024	----	47857	----	53952	---
მწარმოებ	მსხვილი	62234	----	60330	----	62819	----	67615	----	66761	---
ლურობა (											
ლარი)	საშუალო	23624	----	23095	----	27371	----	28994	----	66815	---
	მცირე	15144	----	16482	----	15894	----	17493	----	39175	---

წყარო: საქსტატი; სტატისტიკური წელიწდეული 2016; 2018;

შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, 2015 წელს, მსხვილი ბიზნესის ამავე მაჩვენებლის თითქმის 25% -ს შეადგენს, 2017 წელს კი თითქმის 70% შეადგინა. ცხრილი 2.2.4 ნათლად ჩანს, ბრუნვის , პროდუქციის გამოშვების, დასაქმების, შრომის საშუალოთვიური ანაზღაურების მაჩვენებლების მიხედვით, 2012-2017 წლებში მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის პოზიციები ბიზნეს სექტორში . გარდა საშუალო თვიური ხელფასის მაჩვენებლისა მცირე ბიზნესი , დანარჩენი მაჩვენებლების (ბრუნვა, დასაქმება, გამოშვება) მიმართ სტაბილურად ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. თუმცა , ახალი მეთოდოლოგიით გაანგარიშების შემდგომ 2015 წელთან შედარებით 2017 წელს შეინიშნება მცირე ბიზნესის მონაცემების მკვეთრაგ ზრდა(ნახტომი).

რეგიონალური ჭრილის მიხედვით, მცირე და საშუალო ბიზნესზე მონაცემები , პროდუქციის გამოშვებისა და დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით მოცემულია ცხრილი 2.2.5-ში. როგორც ცხრილი 2.2.5 - დან ჩანს ბიზნეს სტრუქტურაში მცირე ბიზნესში, 2015 წლის მონაცემებით, დასაქმებულთა ხვედრითი წილი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება რაჭა ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში (63.8). მეორე მოდის გურია (47.8). ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება თბილისი (21.0). როდესაც ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე დიდი რიცხოვნობა ფიქსირდება თბილისში. რაც შეეხება გამოშვებული პროდუქციის წილს საწარმოთა ზომის მიხედვით თბილისში მცირე

საწარმოებზე მოდის 8.6, ხოლო რაჭა ლეჩხუმი ზემო სვანეთში 42.1%. 2017 მეთოდოლოგიით იგივე რეგიონებში მცირეზე მოდის შესაბამისად თბილისში 31.4%; რაჭა ლეჩხუმი ზემო სვანეთში 88.3%.

ცხრილი 2.2.5 დასაქმებულთა და გამოშვებული პროდუქციის წილი საწამოთა ზომების მიხედვით 2015- 2017 წელი

რეგიონები	დასაქმებულთა წილი საწარმოთა ზომების მიხედვით							გამოშვებული პროდუქციის წილი საწარმოთა ზომების მიხედვით						
	სულ	მსხვილი		საშუალო		მცირე		სულ	მსხვილი		საშუალო		მცირე	
		2015	2017	2015	2017	2015	2017		2015	2017	2015	2017	2015	2017
თბილისი	100	64,5	42.4	14,4	20.7	21,0	36.9	100	82,6	43.6	8,8	25.0	8,6	31.4
აფხაზეთი არ	—	—		—		—		—	—		—		—	
აჭარა	100	49,0	20.6	17,8	21.7	33,2	57.7	100	72,8	20.8	13,0	31.8	14,2	47.9
გურია	100	30,2	10.0	22,0	22.8	47,8	67.7	100	70,8	9.7	12,5	45.4	16,7	44.9
იმერეთი	100	43,9	21.2	17,3	18.3	38,9	60.5	100	69,9	41.0	12,5	21.2	17,6	37.8
კახეთი	100	33,4	6.3	23,8	26.1	42,8	67.6	100	56,6	9.7	27,6	40.8	15,8	49.5
მცხეთა-მთიანეთი	100	47,0	25.9	24,8	20.6	28,1	51.5	100	78,9	55.6	12,6	20.4	8,4	24.0
რაჭალეჩხუმი და ქვ.სვანეთი	100	6,1	.	30,0	9.1	63,8	90.9	100	31,5	.	26,4	11.7	42,1	88.3
სამეგრელო ზემო სვანეთი	100	39,9	10.4	22,5	19.4	37,6	70.2	100	79,3	23.7	9,6	29.6	11,1	46.8
სამცხე	100	31,1	5.3	226	20.7	46,4	73.9	100	79,8	46.4	8,4	22.9	11,8	30.8

ჯავახეთი

ქვემო ქართლი	100	52,4	25.4	13,7	18.9	33,9	55.7	100	86,5	56.6	6,1	20.6	7,4	22.9
შიდა ქართლი	100	37,2	12.4	20,9	16.8	41,9	70.8	100	77,1	41.4	12,3	17.9	10,6	

წეყაროს: ტატისტიკური წელიწდეული; საქატატი; 2016; 2018.

როგორც ცხრილი 2.2.5-დან ჩანს დასაქმებულთა რაოდენობა 2012 წელთან შედარებით 2015 წელს არის შემცირებული და ბიზნეს სექტორში შესაბამისად უდრის 29,1 და 27 % -ს. საერთო ტენდენცია ამ შუალედში არის კლებადი. მართალია, საქართველოში მაღალია დარეგისტრირებული კომპანიების რაოდე- ნობა, მაგრამ ბევრი ფირმა არსებობის პირველსავე წელს გამოდის ბაზრიდან.

ფირმების უმეტესობა არარის ინოვატორი და ხასიათდება დაბალი პროდუქტი ულობით. ბიზნესის წინაშე არსებულ სირთულეებს შორის სახელდება ფინანსებზე წვდომა, მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობა, მუდმივად ცვალებადი საგადასახადო რეგულაციები და მაღალი გადასახადები.

მსოფლიო ბანკი ურჩევს საქართველოს მთავრობას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის ქვეყანაში თანმიმდევრული ნაბიჯები გადადგას, გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით. ასეთია, მაგალითად, კონკურენ- ციისა და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ჩამოყალიბება, საკუთრების უფლების განმტკიცება, ინვესტორებისთვის უსაფრთხოების კანონმდებლობის შექმნა, ექსპორტის წახალისება და მხარდაჭერა ბაზრებზე დასამკვიდრებლად. რეკომენდაციებს შორიs არის მცირე და საშუალო კომპანიებისთვის ფინანსებზე წვდომის გაადვილება, რაც ხარჯებსაც შეუმსუბუქებთ. მაგალითად, საქართველოში ათჯერ ძვირი ჯდება ფინანსებზე წვდომა, ვიდრე ჩინეთში და 30%-ით მეტი, ვიდრე სომხეთში.

ასევე, მსოფლიო ბანკი გვირჩევს დავხვეწოთ კანონმდებლობა, რათა კომპანიებმა დროულად შეძლონ ბაზრიდან გასვლა და საბანკო სექტორთან ახალი ურთიერთობების დაწყება.

რეკომენდაციებს შორისაა მეწარმეობის ცნობადობის ამაღლება წარმატებული მეწარმეების ჩვენებით. მაგალითად, სომხეთსა და უკრაინაში პრაქტიკულად ყოველდღე ქვეყნდება პუბლიკაციები წარმატებულ მეწარმეებზე, განსაკუთრებით IT(ინფორმაციის ტექნოლოგიის) სფეროში.

ნებისმიერი ქვეყნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. რადგან მნიშვნელოვანი წყარო, თითქმის ყველა სახელმწიფოს მთლიანი შიდაპროდუქტის ფორმირებაში, სამუშაოა ადგილების შექმნაში, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაში. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საჭიროება გარდაუვალია. შესაბამისად, ამ ტიპისა და მასშტაბების ბიზნესის განვითარება პრიორიტეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანად უნდა იქცეს სახელმწიფოსთვის.

მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება 2016 წელს მთავრობის მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა და მისი განვითარების სტრატეგიაც შემუშავდა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის სწორი სტრატეგიის განხორციელებას შესაძლოა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს ეკონომიკის სწრაფი ზრდისათვის. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვნებეს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესის მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

ევროკავშირის მასშტაბით საწარმოთა 99%-ზე მეტი მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსს ატარებს, სადაც დასაქმებულია დასაქმებულთა 67%, ხოლო მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება შეადგენს მთლიანი დამატებული ღირებულების 57,5%. სწორედ ეს სტატისტიკა მეტყველებს, მცირე და საშუალო საწარმოების როლზე ბიზნესის განვითარებაში.

სექტორის განვითარება და სწორი სტრატეგიის განსაზრვრა წარმოუდგენელია თუ კი არ ვიცით ვისზე გვაქვს საუბარი. პირველრიგში, საჭიროა სწორი განმარტების არსებობა; თუ ვინ შეიძლება ჩავთვალოთ მცირე და საშუალო ბიზნესად.

ამჟამად სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი გვაწვდის საქართველოში განსაზღვრულია მცირე და საშუალო ბიზნესის სტატუსი ახალი მეთოდოლოიით. უკვე 2017 წლიდან მონაცემების გაანგარიშება ბიზნეს სექტორში ხდება ამ მეთოდოლოგიით. ასევე მცირე ბიზნესი რგულირებულია საგადასახდო კოდექსით და კიდევ საწარმოთა კატეგორიებად დაყოფა კრიტერიუმებითა და მათი სტატისტიკური სიდიდეებით მოცემულია საქართველოს კანონში „ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის(08.06.2016) შესახებ“ . გაბნეულობას რომ არ ქონდეს ადგილი სასურველია მიღებუ.ლ იქნას კანონი მცირე ბიზნესის შესახებ, რომელიც მოაქცევს მცირე ბიზნესთან დაკავშირებულ ყვალა საკითხს სამართლებრივ ჩარჩოში

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების შესწავლა გაანალიზებიდან ჩანს , რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში არც თუ ისე მცირე სამუშაოებია ჩატარებული, როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორის წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფონდების მიერ. დღეს საქართველოში აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშვალო ბიზნესის პანელში და თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განვითარებული ფონდიდად (ETF), ევროპის რეკონსტრუქციისაა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშრისო ორგანიზაციებთან მცირე და საშვალო მეწარემეობის განვითარების სტარატეგიის, საუკეთესო საერთაშრისო და ევროპული პრაქტიკის მიხედვით გაუმჯობესების მიზნით. მცირე და საშვალო ბიზნესის განვითარებას ემსახურება ადგილობრივი პროექტები „აწარმოე საქართველოში“, „სტარტაპი“ და სხვა.

2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი გავნითარების სამინისტროში შეიქმნა სსიპ - **„აწარმოე საქართველოში“**, რომელიც სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობაზე ორიენტირებული, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ განმახორციელებელი პირველი სახელწიფო უწყებაა, მისი მისიაა - კერძო სექტორის მიერ მართული და ექსპოტზე მიმართული ეკონომიკის შექმნა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით[18] პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: 1) ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, 2) უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობა, 3) ტექნიკური დახმარება.

აწარმოე საქართველოში-ინვესტიცია „აწარმოე საქართველოში-ინვესტიცის“ მი მართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედეატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.**აწარმოე საქართველოში - ექსპორტი** „აწარმოე საქართველოში - ექსპორტის“ მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

საქართველოში 2014 წლიდან შექმნილია მრავალი ინსტიტუტები , რომელთა სრული და დაჩქარებული ამოქმედება და მას თან ერთად ახალი ინსტიტუტების შექმნა მცირე ბიზნესის განვითარებაში ნმდვილად მოგვცემს სასურველ შედეგს . დღეს მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის გაუმგობესაბა მოითხობს , მცირე ბიზნესის ხელშემწყობ დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუტების

[18]საქართველოს მთავრობის დადგენილება №365, 2014 წლის 30 მაისი. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

შექმნას კერძოდ: კანონს მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ; მცირე ბიზნესის ადმინისტრაციას და მცირე ბიზნესის განვითარების ეროვნულ ფონდს.

დასკვნა

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკამ დაადასტურა მცირე ბიზნესის უპირატესობები ბიზნესის სხვა ფორმებთან მიმართებაში. მცირე ბიზნესი არის მაღალ მანევრირებადი და შემგუებლური, კონკურენტუნარიანი, ინოვაციური, მსხვილი ბიზნესის ხელშემწყობი, იგი ბაზრის იმ ნიშანს ავსებს სადაც მსხვილი და შაშვალო ბიზნესი ვერ იკიდებს ფეხს. ამ ქვეყანაში იგი ქმნის მთლიანი შიდა პროდუქციის (მშპ) და დასაქმებულთა ნახევარზე მეტს.

რეისთვის არ არისებობს მცირე საწარმოს განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა, რითაც განხორციელდება საწარმოთა ზომების განსაზღვრა ერთიანი კრიტერიუმებით. დასაშვებია მათი სტატისტიკური სიდიდე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით იყოს განსხვავებული, რაც გამოწვეულია ეკონომიკის განსხვავებული მასშტაბებითა და განვითარების დონით.

დღევანდელი მდგომარეობით ყველა ქვეყანაში მცირე ბიზნესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს შორის ყველგან ვხვდებით დასაქმებულთა რაოდენობას. ამდენად ვფიქრობთ საყოველთაო კრიტერიუმად შეიძლება ვაღიაროთ საწარმოში (ფირმაშ) დასაქმებლთა რაოდენობა, მათი სტატისტიკური სიდიდე სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, ეს დასაშვებია რადგან განსხვავებულობა გამოწვეულია ამ ქვეყნის ეკონომიკის გასნხვავებული მასშტაბებითა და განვითარების დონით.

საქართველოში მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრის მეთოდოლოგია მეოცე საუკუნის 90 –იანი წლებიდან დღემდე შვიდჯერ მეტად შეიცვალა. ცვლილებები ხორციელდება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. უშვალოდ მცირე ბიზნესის მხარდამჭერი კანონით კრიტერიუმების განსაზღვრის რეგულირება, ხდებოდა მხოლოდ 1999 – დან 2006 წლამდე, აქაც მოხდა ცვლილებები. 1999 წელს მირებულ „ მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“ კანონში, 2002 წელს, შეიცვალა კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეები და მოიხსნა დარგობრივ ჭრილში კრიტერიუმების განსაზღვრა, კანონს კი ეწოდა „მცირე და საშვალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ კანონი“ (2002). 2006 წლის ივლისს ეს კანონი გაუქმდა, ხოლო განსაზღვრებები მცირე და საშვალო საწარმოების შესახებ გადატანილიქნა კანონში „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“. ამასთან, გაუქმდა ის სამართლებრივი გადდაწყვეტილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა მცირე და

საშვალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო ხელშეწყობას. ხელისუფლების მიერ დეკლარირდა ლიბერალური ეკონომიკური კურსი, რომლის თანახმად, სახელმწიფო არც ერთ სექტორს არ ანიჭებს პრიორიტეტს და ყველა საწარმოსათვის დაბეგვრის ერთნაირ რეჟიმს აწესებს.

დღეს 2017 წლიდან ახალი მეთოდოლოგიით ხდება საწარმოთა ზომების მიხედვით კრიტერიუმების განსაძღვრა; ამდენად დღეს ახალი მეთოდოლოგიით: მსხვილ საწარმოს განეკუთნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშვალო წლიური რაო დენობა აღემატება 246 კაცს ან საშვალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 ლმნ ლარს.

საშვალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფირმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშვალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50 – დან 250 კაცამდე, ხოლო საშვალო წლიური ბრუნვის მოცულობა –12 მლნ–დან 60 მლნ-მდე.

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთნება ყველა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშვალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშვალო წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარს. 2018 წლიდან ყველა დაწესებულება გადავიდა ახალ მეთოდოლოგიაზე.

ამასთან 2011 წელს საგადასახადო კოდექსით მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრაშიც 2018 წელს შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის თანახმადაც მცირე ბიზნესის დასაბეგრი წლიური შემოსავალი გაიზარდა 100000 –დან 500000 –მდე, ხოლო გადასახადის განაკვეთი შემცირდა 5–დან 1 პროცენტამდე.

დღეს 2016 წლიდან საწარმოების ოთხ კატეგორიად დაყოფა ხდება „ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონით, გზამკვლევად ევროსტატის მეთოდოლოგიაა აღებული და ანალოგიურად კრიტერიუმად აღებულია: დასაქმებულთა რაოდენობა; შემოსავლები; აქტივების ღირებულება და განსაზღრულია მათი სტატისტიკური სიდიდეები. საწარმო მოცემულ კატეგორიას მიეკუთვნება იმ შემთხვევაში თუ იგი სამი კრიტერიუმიდან დააკმაყოფილებს ორს მაინც.

ამდენად დღესაც განბნელებულობაა მცირე ბიზნესის განსაზღვრის კრიტერიუმები, განბნებულია სამ დოკუმენტში: ახალ მეთოდოლოგიაში (აქ მიკრო ბიზნესის სტატუსი არ არის განსაზღრული), საგადასახადო კოდექსით (აქ მიკრო და მცირე ბიზნესია განსაღრული და მცირე ბიზნესისთვის დასაბეგრი შემოსავლის საგადასახადო განაკვეთი) ; “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. ამ გაბნებულობას მოხსნი, მცირე ბიზნესის მხარდამჭერი კანინის მიღება დაჩქარებული წესით.

განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის საკითხების შესწავლით შეილება ითქვას, რომ საქართველო ჯერ კიდევ ძალიან შორსაა ამ მხრივ განვითარებულ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან.აქ დიდი ჩამორჩენა გვაქს და ბევრია გასაკეთებელი.

საქარტველოს მაგალითზე მცირე ბიზნესმა გამოავლინა თავისი შემგუებლობის მაღალი უნარი ეგზოგებურ (გარე) ინექციებისადმი. რუსეთ–საქართველოს ერთ კვირიანი ომის შემდგომ, 2009 წელი, საშვალო ბიზნესმა ზარალით დაამთავრა, მსხვილ ბიზნესს მოგება საგრძნობლად შეუმცირდა, ხოლო მცირე ბიზნესმა მოგება გაზარდა 1,7–ჯერ.

რეგიონალრ ჭრილში მცირე და საშვალო ბიზნესისადმი ხელშეწყობას ითხოვს მთის რეგიონები და განსაკუთრებით გურია, სვანეთი, სამცე–ჯავახეთი, მცხეთა–მთიანეთი შიდა ქართლი.

აღ მოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში, ხორციელდება რიგი მცირე და საშვალო მეწარმეობაზე ორიენტირებული პროექტები. შემუშავებულია და მოქმედებაშია: საქართველოს მცირე და საშვალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016–2020 წლებისთვის, აქ გაწეული ღონისძიებების, შესრულებისას ნამდვილად მიიღწევა მცირე ბიზნესის განვითარების ის საშედეგო მაჩვენებელი რაც არის დასახული აღნიშნულ სტრატეგიაში თუ სხვა სამოქმედო პროგრამებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1.აბესაძე, რ , კაკულია ე. მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. 2009,

2.ერქომაიშვილი გ. – მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში. თბ.თსუ გამომცემლობა, 2004.

3.კაკულია ე. მცირე ბიზნესის ფორმირება–განვითარება საქართველოში; ჟ ეკონომისტი;2018. N 1 ;

4.მექვაბიშვილი ე. „მცირე და საშუალო მეწარმოების განვითარება, როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა“

5.**nidli d.** biznesi konteqstSi, biznesi da misi garemo, Sesavali, Tb., BGC biznes, 2003

6.სამადაშვილი უ. ბინესის საფუძვლბი, თბ. უნივერსალი 2016 გვ 186–187.

7.შურღაია ო, მცირე ბიზნესის საფუძვლები, თბ. 2010 გვ 83–84.

8. ხაბელაშვილი თ, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივები; 2017

9. ახალი საგადასახადო კოდექსი 2011;

10. კანონი ,,მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“,1999 წლის 23ივლისი.

11. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, თბ. 2016

12.საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, გეგმის წლიური ანგარიში 2017.

13. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში 2018.

14. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ, 08.06.2016

15. სტატისტიკური წელიწდეული; საქატატი; 2009; 2011; 2012 2016; 2018;

16. საქართველოს მთავრობის დადგენილება №365, 2014 წლის 30 მაისი. „აწარმოესაქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

17. **Горфинкел В., Швандар В.** Малый бизнес организация экономика управление. М., «ЮНИТИ», 2003.

18. **Мазоль С.** Экономика малого бизнеса. Минск., «Книжный Дом», 2004.

19. Калинин А., Анализ развития и состояние малого и среднего бизнеса в мире.журн. «Экономика,предпринимательство и право». №4, 2011

20. **Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д.** Современный бизнес в 2 т., М., «Республика», 1995.

21. gtodradze@geostat.gewww.geostat.ge

22.http://www.parliament.ge/files/437_1262_228785_437_1262_702572_mcirebiznesi[1].pdf (კვლევითი დეპარტამენტი საქართველოს პარლამენტის აპარატი კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება)

23. http://www.economy.ge/

24. www.geostat.ge

25. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა (EaP)

26. WWW.EPRC.GE DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის DCFTA for

27. Mariam.kuchuloria@eba.ge ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორი მოადგილე.